გველი მოვკალ უფლისათვის

ქართული მელოდიები



ამ კრებულში წარმოდგენილია ქართული შელოცვების საუკეთესო ნიმუშთა მხოლოდ ერთი ნაწილი, მაგრამ იმედი გვაქვს, მისი წაკითხვის შემდეგ გაწბილებული არ დარჩება ჭეშმარიტი, მაღალმხატვრული ხალხური სიტყვიერების დამფასებელი მკითხველი.

წიგნთა და ხელნაწერთაგან
გამოკრიბა მიხო მოსულიშვილმა

რედაქტორი ამირან არაბული

მხატვარი გია ღლონტი

რედაქტორისაგან

ლექსის გრაფიკული სახით შელოცვების (იწიგნობრული ენით — „სახრვა“) გამოქვეყნებას გარკვეული გამართლება აქვს. ვისაც შემლოცველის ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები მოუსმენია, დაგვემოწმება, რომ ეს, უწინარეს ყოვლისა, პოეზიაა; პოეზიაა თავისი შინაგანი რიტმით, ექსპრესიით, კეთილხმოვანებით და, გნებავთ, სახეობრივი სისტემით. მაგიური ძალით „აღჭურვილ“ ტექსტის მოუბარს ნაკლებად აფიქრებს ამ ტექსტის გარეგანი, ფორმალური მხარე. მისთვის არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ლექსად აღიქვამს თუ პროზად მიიღებს მსმენელი მის მიერ სათანადო მაგიური ქმედების თანმხლებით შესრულებულ შელოცვას.

სპონტანური სიხალავით გამორჩეულ ხალხური სიტყვიერების ყოველ ჟანრს განუმეორებელი ხიბლი და ფეროვანება, მსმენელსა თუ მკითხველზე ემოციური ზემოქმედების თვალსაჩინო ძალა ახასიათებს. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, შელოცვაც ბევრი რამით იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, აღძრავს და აღვიძებს ცხოველ ინტერესს. იდუმალებისა თუ მოულოდნელობის ეფექტი, რაც ჭეშმარიტი სიტყვიერი ხელოვნების წარუვალი ნიშანია, თვალნათლივ ჩანს და იგრძნობა შელოცვებში. რაც უფრო მეტი „გაუშიფრავი“ ლეტალია პოეზიაში, მით მძაფრია ჩვენი წადილი, ბოლომდე ეწვლეთ სახელიანი თუ უსახელო ავტორის ჩანაფიქრს, გავხდეთ მისი განცდების თანაზიარი, ამოვხსნათ იმ საიდუმლო, შემქმნელი რომ ლებს თავის ნააზრევში...

მაგიური პოეზიისთვის ნიშანდობლივია გაუგებარი, უცხო ანდა განგებ გაბუნდოვანებული სიტყვებისა და ფრაზების (რასაც „აბ-

რაკადაბრას“ უწოდებენ) საგრძნობი სიჭარბე. ავტორ-მთქმელი ითვალისწინებს შელოცვის სპეციფიურ ხასიათს, სამკურნალო დანიშნულებას და ცდილობს, „გამასობრივებისაგან“ დაიცვას იგი. როგორც ჩანს, შელოცვის ძირითადი მაგიური „მარაგი“ სწორედ ზემოხსენებულ გაუგებარ გამოთქმებშია საძებნი. უნდა ვივარაუდოთ, რომ თავიდან ბოლომდე იოლად აღსაქმელი, მკაფიო და გაშჭვირვალე შელოცვის ტექსტი „მოკლებულია“ იმ მიუწვდომელ მაღლს, სალმობას რომ უმსუბუქებს ამა თუ იმ სახის სენით შეპყრობილს...

შელოცვის ტექსტი და მისი შესრულების წესი იმდენად მჭიდრო კავშირში იყო მუდამდღიურ ცხოვრებისეულ სინამდვილესთან, ყოფით გარემოსთან (იგულისხმება სამკურნალო და სამეურნეო ხასიათის შელოცვები), რომ ხალხური შემოქმედების ამ უნიკალურ ნაკადში ოდენ პრაქტიკულ, უტილიტარულ მომენტს ხედავდნენ და უნდოდ უყურებდნენ მის ესთეტიკურ ფუნქციას, მხატვრულ ღირებულებას. ეს არასწორი, მრუდე თვალსაზრისი დღემდე აგრძელებს არსებობას სამეცნიერო ლიტერატურაში. არადა, იმ ხომ თვალსათლივია შელოცვების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა თავისთავადობა, რომ ყოვლად გაუმართლებელია მათი ესთეტიკური მხარის უგულებელყოფა და გაარაფრება. მრავალთაგან სულ რამდენიმე სახიერი მაგალითის მოტანაც იკმარეს, რათა დავრწმუნდეთ მაგიური პოეზიის მხატვრული არსენალის არაერთგვაროვნებაში: „... თოლნი ჰქონდეს ცეცხლისანი, თმანი ჰქონდეს ალისანი, ფეკნი უკულმართის ჭიქისანი“; „... ქრისტეს ნეკით დაწერილი ვარ“; „შემამაშალნეს წარბნი სიკვდილისანი“; „პირშავმა შავმა ჭიამა დამიჭამა ხარით ნახნავი...“

შელოცვების მხატვრული ქსოვილის ფესვეულ თავისებურებებზე მისანიშნებლად აუცილებელია ორიოდ სიტყვა ფერთა სიმბოლიკაზეც ითქვას. ამ მხრივ შელოცვა უპირატეს ადგილზე დგას ხალხური პოეზიის სხვა ჟანრთა ნიმუშებს შორის. შელოცვებში ფერითი ნიშანი მაგიური შინაარსითაა აღვსილი. რახან ადამიანის ამქვეყნიური არსებობა და სიკვდილისშემდგომი სამყოფელი სამყაროს ერთიანი მოდელის მაორგანიზებელ სამ ძირითად შრესთან, ფენასთან ანუ „სკნელთან“ არის დაკავშირებული, ბუნებრივია, რომ ამ ვითარებამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა მაგიურ პოეზიაში. შელოცვებში და, საერთოდ, პოეტურ ფოლკლორში, შავი და წითელი ფერი მოუსავლეთთან, სიკვდილთან არის ასოცირებული; თეთრი ფერი — სამზეოსთან, ხილულ სამყაროსთან (ასევე, უცოდველთა და უზაკველთა სამყოფელთან საიქიოში; ყვითელი — ჭკნობასთან, სიცოცხლის მილევასთან; მწვანე — განახლებასთან, სულის გაზავხულთან... ამდენად, დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშეც ნათელი უნდა იყოს, რა რწმენით პლასტებთან გვაქვს საქმე შელოცვებში ფიქსირებულ შემდეგ ფრაზებში: „გაიკია შავი კლდე, გამოვიდა შავი ხენი“; „ თეთრი ქორი მოვიდა, თეთრი ფერი მოგიტანა“; „წითელ ხუცესსა წითელი ხარი შეება“; „მოდიოდა ყვითელი წყალი“; „მწონეს მინდორსა მწონე ხე იდგაო...“

შელოცვებში, როგორც ზეპირსიტყვიერების უძველესი ჟანრის ნიმუშებში, აღბეჭდილია არქაული რწმენა-წარმოდგენების მკაფიო კვალი. ნათქვამი, უპირველეს ყოვლისა, დემონურ არსებებს და მათთან დაკავშირებულ ძირძველ წარმოდგენებს ეხება. მაგიურ პოეზიაში განსაკუთრებით ხშირია ხსენება გველისა, რომელიც ბოროტების განსახიერებად ითვლებოდა და მისი დამარცხება ან-

და სრული ფიზიკური განადგურება საწინდარი იყო აუადობის მიზეზთა განდევნისა სნეულის სხეულიდან. „... ამოხვრა მათრაკის წყერი, ამაიღა შავი გველი, ჩადგა სინის ქვაბში, ჩაუგზა ეკლის ცეცხლი, ჩაწვა უფრის თვალისა, უფრის გულისა...“

უაღრესად საგულისხმო გახლავთ ის, რომ მოქმელი კაცთა სამკვიდრებლის გარე სფეროებთან აკავშირებს შელოცვათა წარმომავლობას. მისი თქმით, ლოცვა „ქრისტეს ლედის, მარიამის მოგონილია“. ამ ვითარების ხაზგასმა შემლოცველის მიმართ რწმენისა და ნდობის ფაქტორს ზრდის მსმენელში. რადგანაც შელოცვა ზეციერ საწმინდეში იღებს სათაყვეს და ცოდვილ მიწაზე მყოფი მოკვდავი მასი მხოლოდ „გამმეორებელია“, რასაკვირველია, სარგოობაც ბევრად მეტი ექნება მას, ვიდრე ადამიანის გონებრივი გარჯის ნაყოფს.

რახან შელოცვის „პირველადტორად“ ქრისტეს ლედაა მიჩნეული, საკუთებით კანონზომიერია ისიც, რომ არაერთ ნაბუში ფიგურირებს მისი სახელი და, რა თქმა უნდა, ყველგან დადებით ასპექტში. ტიპური შემთხვევა: მარიამი ტირის, მარგალიტის კურცხალს ყრის; ჩამოიელის ქრისტე ლმერთი და ეკითხება — „ლედაო ჩემო, რათა სტირი, რასა სჩიეთ?..“ დამწუხრებული მარიამი უქვება, რაც მოხდა. ქრისტე ასწავლის წმალს და უმალ ხლება განქარვება ჭირ-სატკივარისა.

არც ის არის შემთხვევითი და უწინაპირობო, რომ განსხვავებით, ეთქვათ, ქაჯაკეთის ქალისაგან, ლედა მარიამის „ფიზიკური“ ხატი და მისი გარემომცველი საგნობრივი სამყარო აღმატებულ მხატვრულ-სახეობრივ სამოსელშია გახვეული: „... ტანი დამიძრეს ალვისა, თმა ჩამაქაყრევინეს ბროწეულისა, ქელი დამიწყვიტეს ძო-

წეულისა, ოქროს კოკა გამიტეხეს, ვარდის წყალი დამიღვარეს...“

შემლოცველს სჯეროდა, რომ მის სიტყვას ავადმყოფის განკურნება შეეძლო. სიტყვით აქიმობის ძველთაძველი ტრადიცია სადღეისოდ რამდენადმე მოშლილი და მივიწყებულია. შელოცვაში აღამიანთა სულებისთვის მავნე და საშიშ ნიშნებს ხედავდნენ ახლო წარსულის ათეისტი იდეოლოგები და დაუნდობლად აქიაქებდნენ „ცრუმორწმუნე“ შემლოცველებს, მაგიური სიტყვის ზებუნებრივ ძალაში დარწმუნებულ „ფანატიკოსებს“.

ღღეს უკვე ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ შელოცვას, როგორც ზეპირსიტყვიერების აეტონომიურ ჟანრს, როგორც თვითკმარი ფასეულობის მქონე მხატვრულ მოვლენას, არავითარი ზიანი არ მოაქვს ჩვენთვის. პირიქით — მისი „ახლოით განჩხრეკა“, მის სიღრმეში წვდომა ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელია და როგორც ხალხის მხატვრული წარმოსახვის, ფანტაზიის, აზროვნებისა და შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, მეტ ყურადღებას იმსახურებს ჩვენი მხრიდან.

წინამდებარე კრებული, რომელიც დიდი რუდუნებით შეუდგენია მწერალ მიხო მოსულიშვილს,გარკვეულ მიზეზთა გამო, შელოცვის ჟანრის საუკეთესო ნიმუშთა მხოლოდ ერთ ნაწილს აერთიანებს და იმედია მომავალში უფრო ფართო მოცულობის შედარებით სრულყოფილ წიგნსაც იხილავს მკითხველი.

ისღა დაგვრჩენია, გზა დავულოცოთ მშვენივრად გაფორმებულ ამ პატარა კრებულს და ვუსურვოთ, გულგრილი და გაწბილებული არ დაეტოვებინოს ხალხის წიაღში აღმოცენებული ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მეტრფე მკითხველი.

ამირან არაბული

შრავი იბრება. ძრული დადგება

(სიტყვით აქიმობის გამო)

სათაურად გამოტანილ სტრიქონებს ქართული შელოცვების სხვადასხვა ხელნაწერის გაცნობისას წავაწყდი. ამ შელოცვას „შეწყენილისა“ ჰქვია და თურმე ფეხმძიმობის დროს ხმარობენ აჭარაში. მაშინვე ჩინელი ბრძენის, ლაო ძის „დაო დე ძინი“, ანუ „წიგნი გზისა და სათნოებისა“ გამახსენდა, ლერი ალიმონაკის მიერ რომ გახლავთ თარგმნილი. ეიფიქრე, ეს სტრიქონები ხომ ამ დიად თხზულებაში წერია მეთქი. მერმე კარგა ხანს კეძებე ლაო ძის ნაწარმოებში იგივე, ანდა შესაბამისი გამონათქვამი, მაგრამ მხოლოდ ესღა ვიპოვე:

„მძიმეა საფუძველი მსუბუქისა.
უძრაობაა საფუძველი მოძრაობისა“.

ალბათ მკითხველი დამეთანხმება, რომ გამოთქმის ლაკონიურობით, ხედვის კუთხით, ფილოსოფიური სიღრმითა და სიტყვის ჭეშმარიტებით („ჭეშმარიტი სიტყვა არ არის ლამაზი. ლამაზი სიტყვა არ არის ჭეშმარიტი“ — ამასაც ხომ „დაო დე ძინი“ გვასწავლის) ჩინელ ბრძენთაბრძენს არაფრით ჩამოუვარდება ჩვენთვის უცნობი აჭარელი შემლოცველი...

შელოცვა ქართული ზეპირსიტყვიერების ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი შენაკადია, რომლის მეცნიერული შესწავლა, მიუხედავად მრავალი საინტერესო ნაშრომისა, ვგონებ, ჯერაც არ უნდა იყოს დასრულებული — რაღაი ჩვენი არცთუ მთლად ჭკუიანი იდეოლოგები დიდხანს სახამუშოდ თვლიდნენ ამ საქმეს.

დაკვირვებული მკითხველი ქართულ შელოცვებში როგორც წარმართული ხანის აღნაბეჭდებს მოინიშნავს, ასევე ქრისტიანული მოძღვრების ლანაშრევებსაც გაადვნებს თვალს; თუმცაღა, არც ისაა დასამალი, რომ ქრისტიანობა შეუწყნარებლად მიიჩნევს „შელოცვით კურნებასა“. „ხოლო რომელნი გრძნეულთა და მისანთა მიმართ მიეიდეს, ანუ საეშმაკოთა რათმე განწმენდათა და სახრვათა (სახრვა — მოგობის შელოცვაა, სბა.) მოქმედ ყოფა ალუთქვეს, ამათი გამოწულილვით გამოკითხვა და გამოძიება საკმარ-არს, თუ ვითარ სარწმუნოებასვე ზედა ქრისტესსა ეგნეს და ჭირისა რაჲსათუსმე მოუხდეს ცოდვასა მას და გამოუთქმელისა ზღვევისა მიერმან რამანმე განბოროტებამან შეუქმნა მათ მიზეზი ჴელ-ყოფისა მისისაჲ, ანუ ყოვლითურთ შეურაცხყვეს ჩვენ მიერ რწმუნებული მათდა სარწუმოებაჲ და თანაბრძოლებასა ეშმაკთასა შეეშფოთნეს“ — ასე გვმოღძერავს „დიდი სჯულის კანონი“...

თუკი ასეა, მაშ, რა გამართლება აქვს ამ შელოცვების დაბეჭდვას?

ასეთი ეჭვი აღეძვრება მკითხველს და მეც ხემოთქმულს გავიმეორებ — შელოცვათა ეს ნიმუშები მკითხველმა ისე უნდა მიიღოს, როგორც ქართული ხალხური პოეზიის ერთი ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი, მაღალმხატვრული შენაკადი, თავისუფლდა, იმპროვიზაციით რომ გახლავთ შობილი — შემლოცველი მაინცდამაინც ლექსის თქმას კი არ იზრახავს, აკადმყოფი რომ მივა მასთან, არამედ აკადობის მოშორება, გაგლება უნდა პაციენტისაგან და ამ ხურვილით იწყებს ლაპარაკს; მის ნათქვამ სიტყვებს ამ ხურვილის ძალა დაჰყვება და, ერთის მხრივ,

ლექსი იბადება, მეორეს მხრივ, ეგებ, ავადმყოფის მდგომარეობაც უმჯობესდებოდეს — ეს ხომ სიტყვით აქიმობაა და ჩვენთვის რომ ვთქვათ, განა სხვა რაა პოეზია, თუ არა სიტყვით აქიმობა?

მხარს არ ვუჭერ ზოგი მეცნიერის აზრს შესახებ იმისა, რომ შელოცვა არცა ლექსია და არც პროზა ამ ტერმინთა პირდაპირი მნიშვნელობითო. მე უფრო ვახტანგ კოტეტიშვილის აზრს ვემხრობი, პოეზიად რომ მიუჩნევია შელოცვები; ასევე, ლექსებადვე ჩაუწერია თედო რაზიკაშვილს ქართლში და ფშავში შეკრებილი შელოცვები 1890—1892 წლებში (კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 2638).

ამიტომ პროზაულ ტექსტებად ჩაწერილ ამ შელოცვებს ლექსის გრაფიკული ფორმა მივეცი და ასე წარმოიდგინეთ.

** მიხო მოსულიშვილი**



ძველი შელოცვები

გველისა

(მიწერილია წმიდა შიოს ცხოვრების XVIII საუკუნის ხელნაწერის ბოლო ფურცელზე).

ესახელითა მღვთისათა,
მამისა და ძისათა
და წმიდისა სულისა.
გველი მოვკალ უფლისათვის,
გველი მოვკალ უფლისავთის,
გველი მოვკალ უფლისათვის!
(აქ სამჯერ ჯვარი გადიწერე
და სთქვი ესე ლოცვა)
ქიშფაშნათ მოვალ,
ქიშფარ მაცვია,

ქიშფარ მარტყია.
ვერა, ვერა, ვერა.
ილან ილა უსურ
სურუნ იათარ.

სიმსივნისა[1]

სიმსივნის ვედრებასა
რქვა მას გრძნეულმან:
მისსა სახლსა და
სართულზე არა შევიდე,
არცა ყრმასა ჩვილსა მიეახლო
და არცა დედაკაცსა
ვაენო ფიცით მით.
ჩვენითა და მოწმობითა
წმინდისა სისივნითა.
ჩვენითანა არს ღმერთი.
სახელითა ღვთისათა,
მამისა და ძისა
და სულისა წმინდისათა.
იელებოდეთ ყოველნო,
გრძნეულნო განქარდიო.
ღმერთო, დაიცავ და

---

1 ეს და შემდგომი ცხრა შელოცვა მიეკუთვნება XVI საუკუნეს, თუმცა XIX საუკუნის პირით არის მოღწეული (კაკაბაძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის № 231).

დაიფარე მხეალი ესე!

უშმშრისა

ხახელითა მამისათა და ძისათა
და სულითა წმინდისათა.
იოვანე ანგელოზო ღამისაო,
მომავალო ძილისაო,
მოგანდეე ხორცი ჩემი,
შეგაეედრე სული ჩემი.
მე ქრისტესი ვარ,
ქრისტე ჩემი არს.
ქრისტეს ნეკით დაწერილი ვარ.
მამა მაცვია,
ძე მარტყია,
სულის წმინდა გარე მმოსია.
მოვიდა დიდი წმინდა გიორგი
შუბითა და ბოძალითა.
—ვინც ძილში მახსენოს,
ნუ ეშინის ცრუსა მაკნისა,
ეშმაკისაგან შიგნით ჯვარი ვარ,
მტერთა ხელ-ბორკილი ვარ.
—დასწერე, წმინდა გიორგი,
ჯვარი შენი...
მონასა თქვენსა, ნენესა.

თვალ-ყბისა, ჭამისა და უჭმურისა

Ესახელითა ღვთისათა,
მამისა და ძისა
და სულისა წმინდისათა.
გამოიზავა შავი კლდე,
გამოვიდა შავი კაცი,
შავით შევმაზილი იყო —
შავი ჯაჭვი ეცვა,
შავსა ცხენსა იჯდა,
კბილსა მოიხჭენდა,
თვალსა მოაკაკაჩებდა,
მიჭუნდრუკობდა.
შემოხვდა მიქელ გაბრიელ
მთავარანგელოზი. ჰკითხეს:
—სით წახვალ, შავო კაცო?
რქვა მან: — რას მკითხავ?
მივალ საქრისტიანოს
კაცის ხორცის საჭმელად,
სისხლის სასმელად.
—არ გაგიშვებ, მამამან,
ძემან და სულმა წმინდამან.
ჩაგაგდებ ქვაბსა რვალისასა.
შეგინთებ ცეცხლსა წუმწუმისასა.
—ღმერთო, განკურნე და
მოეხმარე მხევალსა ნენესა.

მუცლის ტეხისა

ლილისა წყალი ამოდის,
ლილისა მოფრინავს ფრინველი,
ლილისა ფრთითა დაემსჭვალა
შენ ცხარ ხურვებაო.
წმინდაო ანგელოზო, მოველ
და უპყარ ხელი შენი
და რქვა მონასა შენსა
ღვთისათა სახელითა ცხრისა
და ხურვებისაგან უკვე ასწევდიო
და განეშორეთ ამა ძალითა
და გულითა ღვთისათა წმინდათა.
მადლითა შევიდა იესო,
ხოლო სიდედრი იგი პეტრესი
შეეპყრა ხურვალებასა.
აბელ თუ ქრისტიანე,
განუშვი, ძალსა ღვთისასა,
თუ ხარ თათარი,
თუ ხარ ურია, თუ მეტნი.
თუ დომიკონე ხარ,
ზამთრისა და ზაფხულისა თუ იყო,
განუშვი კაცი ესე,
ჩავრდომილი სნეულებასა შინა
წმინდათა შვიდთა წერილთა.
სამნი სამებისა ძალისათა,

ძელისა ცხოველება მადლითა,
მოსეს კვერთხითა, სოლომონისა ბეჭდითა,
მადლითა მისითა განუშვი
კაცი ესე ღვთისითა, ნენე.

მუცლის ტეხისა

Oღგა ლეგოვან დევი და ეჭირა (...)
და ჭრიდა და
ულრჭნიდა ძარღვსა მისსა,
სჭამდა სისხლსა მ̣ისსა,
ლეწდა წვივსა მისსა.
მოვიდა ჩვენი იესო ქრისტე
და წმინდა გიორგი, კითხეს,
თუ რატომ უწამლე გვიანო მაგას?
დევმან უთხრა ლეგოვანმა:
—გარდგმოძაგდო ზეცით.
ცა ღვთისა არს
და ქვეყანა ჩემი არის.
უბრძანა იესო ქრისტემ
წმინდა გიორგის:
- გადმოხელ ჭარმაგისაგან
და აყრევინე კბილნი
მცოხნელნი რკინისა,
ჩააგდე ჯოჯოხეთისა მ(...)სა,
ნუ ამოუშვებ მაგას

მეორედ მოსვლამდინ და უმსჯვალე
ბოლო თავი მაგისი.
სახელიოა ღვთისათა,
მამისა და ძისა
და სულისა (...).
ელვა ქვა ქვასა,
ქვეშ გველი იჯდა კრული –
ჯურკულსა ქვეშე ვნახე,
შიგ ასპიტისი ეროი თვალი ედგა
წყლისა და ერთი ცეცხლისა.
გასქდა წყლისა,
გადესხა ცეცხლსა
და დაშრტა ცეცხლი.
ისემც დაშრტება
შენი თვალით მთვალავი,
გულით არამი.
შენისა თვალით მთვალავსა
და გულით მზაკვარსა
თვალში ნაცარი და
გულში ლახვარი,
ვისისაც თვალი
შენ გეცეს, ნენე.

თვალ-ყბისა

Gამოვიდა ზღვითა კაცი –

იძახოდა, ეითა ლოიმი,
ბღაოდა, ეიო ვაცი.
შემოხვდნენ მას წმინდანი
მთავარანგელოზნი მიქელ
და გაბრიელ, კითხეს:
— სად მიხვალ შენ, ზღვის კაცო?
მიუგო მან და რქვა:
–ეღრეჭნიდი ქვიშასა,
ვსჭამდი მიწასა.
ახლა გამოველ ზღვითა.
შეკალ კაცის თავშია,
ნახევარს ტვინსა შეეჭამ,
ნახევარსა სისხლსა შეეხვრეპ,
ნახევარსა ძვალსა ლეკავენტ
და თირკმელთა შეეუხდები.
უბრძანა მიქელ და
გაბრიელ მთავარანგელოზმა:
– ეგ არ იქნების სწრაფად და
განეშორე მონასა ამას ღვთისასა.
წარდგე შუნვე ზღვასა შინა
და ისევ ქვასა ზღვისასა ჭამდი.
განეშორე და განერალე
მხეველსა თქვენსა ნენესა.
სახელითა ძამისათა (...)
ამინ.

შაჯისა

ლეოდონი წერილნი კაცნი
წერილსა გზასა ისხდნენ.
იცინოდნენ, იძლეროდნენ,
ჩონგურსა უკრაძდნენ...
ადგა და თქვა:
—რას ხარობთ, რას იტყვით?
მათ მიუგეს და რქვეს:
  ჩვენ ვართ ქაჯნი უჩინონი,
შავნი ინდონი.
ვეძებთ კვალსა ქრისტიანისასა,
შევიპყრობთ გულთა და
თირკმელთა მათთა და
მოვაქცევთ ნებასა ჩვენსა და
მოვაშორებთ ღმერთსა მათსა.
შერისხნა მან,
ურიულ ანგელოზმან და რქვა:
—წარვედით მართალ უკეთ სულნი (...).
უკეთურნი.
ლეგოვანო, წყეულო ღვთისაგან,
რომელმან მოსვლითაგან განაბნიეს
და უჩინო გყოთ,
აგრეთვე უჩინო იქმენით.
წარვედით, თორემ დაგჭრით
ლახვრითა სამსჭვალითა და

განგაქროთ ჯვარითა ქრისტესითა.
ხოლო მათ შეშინებითა ბოროტად
ერთითა ხმობითა სთქვეს:
—ჰოი, ურიელ ანგელოზო,
ნუ დაგვჭრი ლახვრითა სამსჭვალითა
და ნუ განგვაქარვებ
ჯვარითა ქრისტესითა.
წმინდა გიორგი კაპადუკელი
თავდებად მოგვიცია,
რადაც იხსენოს სახელი ღვთისა
თქვენისა იესო ქრისტესი.
არა მოვეახლოთ ნათესავსა
ამასა ადამისასა და
ნათელღებულსა არა მოვეახლოთ.
თუ შესრულ ვიყოთ,
მსწრაფულ განვეშოროთ,
ვითარც ცვილითა დავდნეთ და
ვითარცა ქარიეითა განვქარდეთ.
– სახელითა ღვთისათა,
მამისა და ძისათა და
სულისა წმინდისათა
აწ და მარადის და
უკუნითი უკუნისამდე, ამინ!
წმინდა გიორგი კაპადუკისაო
და ანგელოზო ურიელ,
შეეწიენით და დაიხსენით
მხევალი ესე, ნენე.

თვალ-ყბისა, ჟამისა, უჟმურისა

Gამოვიდა კაცი შავი
შავი ტყედამ,
გამოიყვანა ცხენი შავი,
შავით შეკაზმულნი.
აუღვა ლაგამი შავი,
შეჯდა.
მოდიოდა შავი წყალი,
მას მოჰქონდა შავი გული,
ჩაყო მათრახი შავი,
ამოიღო დანა შაკჯარიანი,
პირსახოცი გაჭრა,
გული შავი ამოიღო,
წაიალი შავი დასდვა.
თვალთა მთვალავსა და
გულით მზაკვარსა
თვალთა ნაცარი და
გულთა ლახვარი.
ქვა და კირი
ეისიც თვალი შენ გეცეს,
ნენე.

თვალ-ცემულისა

ეთავარანგელოზის მოსვლით
წმინდა ხისიესე დგა,
ლოცავდა.
მოვიდოდა დიდი გრძნეული
ცეცხლის ფერად.
ალებანი ხელნი და
ფერხნი რკინისანი.
თვალნი აქლემისანი
გარე შეირტყენეს.
რქვა მას წმინდანმან
ხისიესე ძლოცველმან:
— შენ, დიდო ეშმაკო,
სად მიხვალ?
რქვა მას: —მე მიეალ
ქალთა ფერის გამოსაცვლელად,
კაცთა სიწათლის წასართმეველად,
შეშინებად და ძით რქვეს
დიდი გრძნეული.
და უთხრა მიქელ გაბრიელ
მთავარანგელოზსა; შეიპყრო
ხელი მისი და რქვა:
— ვერ წამიხვალ ხელითაგან
ჩემითა, უკეთუ არ დაეფუცო.
გაფიცებ შენ ქერუბინთა

ზედამჯდომარეცა,
არ ეკუნო მონასა ღვთისასა:
ვინც შეუნდოს ამა წიგნსა წერა
და წმინდასა.





საკურნალო შელოცვები

სურდოსი

სურდოს (იგივე „ხამაზდის“, „ცრინტას“) დროს აკალმეოფს გამდინარე წყალში დაბანინებენ პირს და ულოცავენ.

ცრინტა შაკკარ შაკპაჭიჭე,
შაკსა ძაღლსა გადაკიდე.
ძაღლი გაღმა გამიკარდა,
სურდო წყალში ჩამიკარდა.

* * *

სურდო მეწვია საღილათ,
რა გაკუკეთო საღილათ?
—არკილი-ბარკილი,
სამი თაგვის ბარკალი.

ძაგრად შეეკარ, შეეჰაჭიჭე,
შაესა ძაღლსა გადაეკიდე.
ძაღლი ხიდზედ გავარდა,
სურდო წყალში ჩავარდა!

* * *

სურდო მჭირდა ადვილათა,
რა მივართვა საღილათა?
ელელიკო, შელელიკო,
კურტუმი და ბარკალი,
ღობის ძირში ჩაკალი.
ეგი მამამ ცხენი მომცა,
ავამტრიე, დავამტრიე,
კარსაც მოხტა.
კარმა ღეიწყო ზრიალი,
მეზობლებმა გრიალი.
ძაღლი რუზე გავახტუმლე,
სურდო წყალში ჩავახტუმლე.

* * *

სურდო შეწვია საღილაო,
რა მივართვა საჭმელად?
–ანკალი-ბანკალი,
დათეი – დამპალი.

დაუკარით ტაში,
გააგდეთ კარში.
(სამჯერ).





სანცეცხლისა

სანცეცხლარი კანის ავადმყოფობაა, კანი ეწვის და ეჭავება.

ულლითა და მარტოულლითა
მგელი შეება ხარალა,
გველი აპეურალა.
გაწყდა გველითი,
გასკდა მგლითი,
ამოვარდა სანცეცხლარის ძირითი.

* * *

სანცეცხლამ გუთანი შაბაო,
მგელი შაბა ჯარალაო,
გველი აპეურალაო.
ძაწა ხნულითი,
ქვეშა თესილითი.
ვინ სახა იმაზე

ყანა მოსულიო.
გასქლა მგელი,
გაწყდა გველი...
ამოვარდა სანცეცხლა ძირიანად.

შელოცვის შემდეგ ხახმეზნის არეს ნახშირით შემოხაზავენ — სანცეცხლა რომ აღარ გაიზარდოს.





ელქუნისა

ეს ერთგვარი ძუწუკია, ფშავში საკვბურას ეძახიან.

ქრისტემ დაჰკლა თეთრი ფური,
მან იწვია ყოველი სული,
ელქუნი კი არ იწვია.
ელქუნმა უთხრა:
—რათ არ მიწვიე?
—მით არ გიწვიე,
შეხვალ ყმაწვილის ტანშია,
ცოცამ, კოკბამ,
გალვიეღები, გაფუვღები,
გაფუფრუხღები, გაჩუჩრუხღები.
—არა, მამამა, ძემა,
სულმა წმიღამა.
არცა გაგლვიეღები,
არცა გავფუფრუხღები,
არცა გავჩუჩრუხღები.

ამოვალ ქონდარიეთა,
გავხმები ქერის ფუნჯისაებრ.
ჩამოვცვივდები ვარლის ფურცლევითა.
ლოცვა ჩემი, წამალი მისი.

შავი ძროხის ქონი, კვარის ფოთი, მგზავრული ინა, წმინდა სანთელი ერთმანეთში წამოადული. მურვნის ქერქი. ბალამწარის ქერქი მოადული, წამალი რომ წაუსვა, მეორე დღეს დაბანე ამითი. ერთი ჯიმი წყნი დადვი, შაბი ჩაყარე და ტანზე გადაავლე.





სატკბურისა

(თავზედა)

ესახელითა ღმრთითა, მამითა,
ძითა, სულითა წმიდითა!
ქრისტემ დაკლა თეთრი ფური,
მან იწვია ბევრი ხალხი.
სატკბურმან უთხრა:
—მე რათ არ მიწვიე?
—შენ მათ არ გიწვიე —
ჩახვალ ყმაწვილის ტანში
საკობავათ, საცვარავათ.
—არა, მამა-ძეს და სულმა წმიდამ,
არა ვკობო, არცა ვცვარო,
ავდიდდე ქოთანივითა,
ჩამოვცვივდე ქონდარივითა.

* * *

ქაჩალმა ხარი დაკლა
ილილისა მთაზედა.
სახმო იწვია,
სატკბური არ იწვია.
—რათ არ მიწვევ, ქაჩალო?
—მით არ გიწვევ, სატკბურო,
აღულღები ქვევრივითა,
გადმოხვალ ქოთანივითა,
ჩამოცვივი ქატოსავითა..

დამწკარი ნიგოზი და შაბი მოლესეთ, ქაბის ძირზედ დაადვეთ და მორჩება.

* * *

ბედო, ბედნიერო, სახემშვენიერო,
ამოხვალ ცეცხლივითა;
დასჯები ვერცხლივითა.
რა არის ამის წამალი?
წყლის შვილი, ქათმის შვილი,
ღაშაქრული, ერთად დანაყული,
მემრე უნდა იმასა ბრინჯი,
ღალობა დასიებულსა...
სატკბურა ხნამდა გუთანსა,
კუი შეება ხარათა,

გელ-ხოკერა მათრახათა.
კუვსა ბაკანი გაუტყდა...
სატკბურავ, ძირი გაგიქრა!

* * *

ისრაელისა მთაზედა
ქრისტესა ხარი დაეკლა.
მიიწვია, მაიწვია,
სატკბურა არ დაიწვია.
სატკბურამ უთხრა:
—რათ არ მიწვიე?
—მით არ გიწვიე,
შეხვალ ადამიანის ტანში,
კოკობი, ჭოჭყობი.
მკალსა ხრამ, რბილსა სჭამ.
—არა, მამა-ძემ, სულმა წმიდამ!
არცა ჭოჭყობი, არცა კოკობი,
არცა მკალსა ვხრამ,
არც რბილსა ვჭამ.
გავხმები და ჩამოვცვივი
ქერისა ქატოსეფა.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი ჯვარი.

მუნისა

(მღიერისა)

მუნო, იელო, ღვიელო,
უსახლკარო და მშიერო.
მუნო, შენისა ფხანითა
ფრჩხილები დამეცვითაო.
ალექი ვაჟო, ვაჟკაცო,
რად არ მილესამ ხმალსაო?
შაბათს მივიელი, მოვიელი,
კვირას გავიელი კარსაო.
ლოცვა ჩემიო, რგება ღვთისიო.
წამალი მისიო:

გოგირდი, ღორის ქონი წამოალუღე. სამშაბათს გააკეთე, შე
ლოცე. წაისვი ხუთშაბათს. შაბათს წაისვი. კვირას დაირეცხე. ბ
ლოცვილი გოგირდი, სანამ წაისვამდე, შეჭამე — გარ
გამრგაერის. მერე წაისვი.

* * *

ოჯდა ღელა მარიამ
ოქროსა ტახტსა
და ტიროდა.

მოდიოდა იესო ქრისტე.
ჰკითხა: – რას ზიხარ,
დედა მარიამ, რას სტირი?
–მას ვსტირი, მუნი მასხია,
ქეცი მჭამს...
რა არის ამის წამალი?
–ღოლო, ღოლონცოფას ძირი
მოთხარე ჩხირითა,
შეულოცე რკინითა,
შაბათს კარაქითა,
გოგირდითა.
იცხე, იხახუნე.
გახმება ქერის ქატოსავითა,
ჩამოცვივა ცხენის ჩონჩორიკითა.

* * *

ᲛᲣᲜᲝ, ᲘᲔᲚᲝ, ᲘᲔᲚᲝ,
სახელით ქასქანჯიელო.
მაგე ლოგინი, ქვა სასთაული.
მარიამ დედა იჯდა შარაზედ,
ტიროდა და ჩიოდა.
ჩამოიარა იესო ქრისტემა,
ჰკითხა: – დედაო,
რას სტირი, რასა სჩჯეიო?
–მასა ვტირიო, მასა ვჩივიო,
უსულომა – უგულომა

სულიერის ძვალი ხრა
და ხორცი ჭამა...
რა არის იმისი წამალი?
შუშა გოგირდი, შაბათის კარაქი,
საძის წასმა, იმისი გაქრობა.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

* * *

მუნი ხენიდა ყანასაო,
ყანა ნაფუძვარასაო.
მგელი ხარათაო,
გველი აპეურათაო.
გაწყდა გველი,
გახტა მგელი.
ღმერთო, ამოაგდე
მუნი გვარათაო!

* * *

სახელითა მამისა, ძისა,
სულისა წმიდისათა.
არიანისა მთაზედაო
ქრისტემ დაკლა თეთრი ხარი.
იწვია ყოველი სული.

მღიერმა უთხრა:
—მე რათ არ მიწვიე?
—შენ მათ არ გიწვიე,
ჩახვალ ადამიანის ტანში
სისხლის სასმელად,
ძვალის სატკვერად,
რბილის საჭმელად.
—არა, მამამ იცის
და ძემ იცის,
არ ჩავიდე ადამიანის ტანში
არც სისხლის სასმელად,
არც ძვალის სატკვერად.
აუყვავდები ვარდივით,
გავხმები ქერის ფხასავით,
ჩამოვცვივდები ქერის ქატოსავით.
ღმერთო, არგე ლოცვა,
ესე ჩვენი, ამინ.

ამ დროს წოუსობენ გოგირდს მარგიმუშკს (თაგვის შაქარს) სცემა ბალახის წამლებს დანაყილს და ძმარში მოზელილს.

* * *

Ს ახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმინდისათა, ამინ.
მუნო იელო, იელო, უსახლკარო და მშიერო.
მუნი ხნამდა ჭალასა, უდაბურსა ალაგსა.

მგელი ება ხარათა, გველი აპეურათა.
გველი გაწყდა, ჩამოყარდა...
მუნი ამოვარდა ძირითა და ფესვითა.



მუნის წამალი

უნდა თოფის წამალი, უმარილო ღორის ქონი წამოადუღოთ და ცხელ-ცხელი წაესვას, ცეცხლი უცხუნოს და მერე ქატოთი შეიმშრალოს. შემდეგ ხდმარტლის კენწერი და იელი მოხარშეთ და იმაში იბანაოს, მეორეთ კიდევ ის წამალი წაუსვას და განიმეორებთ აბანოს და მესამე წასმით მუნი მორჩება.

ცეცხლის ჯვრის ძმერ დასრეულებულისა

ბამარჯვებულო – ცეცხლის ჯვარო,
დასაჯულია თქვენგნიდან დასნეულებული.
ასრულებს სამსახურს.
თქვენი წყალობა ძიეცით
და ალალი იქნას
მისი ხვეწნა-ველრება.



ტაბასტისა

(სისხლის დენისა)

ჯამამა ძმა მოკლა,
კაენმა აბელი.
სისხლი ნუ ხარ, ნუ სდიხარ!
ცოდომცა გაქვს ცოდვილისა,
ბერისა და მოახლისა,
წისქვილის პირის მომგველისა!

წამალი: მწარე ბალის ჯოხს ოთხიკუთხივ თავი გაუხეთქე და შიგ სისხლი ჩაწვეთოს. ბეს ბუმბულიც უხრჩოლოს, ღვთი: ჰრგებს.

* * *

სისხლო შეჰწყდი (სახელი)
გეყოს ნადენი.
თუ არ შეჰწყდები,
კაცის მოკვლის ცოდო გედოს,
ამხანაგის მოღალატის ცოდო გედოს,
ავი მეღვინის ცოდო გქონდეს,
მაჭანკლის ცოდო გქონდეს,
დიდი საძრეკლოს გამტეხის
ცოდო გქონდეს.
გეყოს ნადენი,
შეჰწყდი ახლა კი.

* * *

ძმამან ძმა მოკლა,
კაინმა აბელი...
სისხლო, გეყოფა
მაგდენი ნადენი.

ეს უნდა დაიწეროს იმ სისხლითვე ქაღალდზე სამჯერ და უნ-
და შემოაკრა შუბლზედ სამ დღეს და სამ ღამეს.



ცხვირის ტაბასტის წამალი

ცხვირიდან ტაბასტა დაემართოს კაცსა თუ ქალსა, გასაღებები უნდა კისერზე დაკიდოს და შეწყდება. თუ არ არგოს, ცხვირში მელანი შესცხეთ და შეხწყვიტავს.



შაკიკისა

ჯეკელა შემოჩვეულა
ჩვენის ბაკის ბოლოსაო.
ისრე ხრავდა ძვალსაო,
როგორც ხარი თიკასაო.
წმინდა გიორგიმ დასწყიოს,
გაიპარა დილასაო.

* * *

საკეკაი ჭრაეს ყანასა
ჩვენის საოიბის ძირასა.
ეგრე ხრავდა რკინასა,
როგორც ჯარი თიკასა.
გაუწყრას დაიბალებელი,
გაიპარა დილასა.

* * *

ეაკიკი შემოჩვეულა
სათიეისა ბოლოსაო.
ეგრე სჭამდა რკინასა,
როგორც ხარი თიეასა.
დასწყეულოს წმინდა გიორგიმ,
გაიპაროს დილითაო.
—რა არის მაგის წამალი?
—ამალი-მამალი, გახურებული რკინა.
ეგ არის მაგის წამალი.

* * *

ეაკიკი შემოეჩვია სათიბის ბილოსა,
ეგრე სჭამდა რკინასა,
როგორც ხარი თიეასა.
გოუწყრა წმიდა გიორგი
გეიპარა დილასა.

ამ ლოცვის მერეთ დაეღლეშილს და მარილიან ჯინჭარს ღვინოში დაასოლეებენ და აბრეშუმის ცხვირსახოცით შეშოაკრავენ თავზე.

* * *

ძლოცავი ავადმყოფის წინ დაჯდება. აიღებს ლურჯ ქაღალდს ან ტყემლის ტყლაპს, ან ორიეს ერთად (ლურჯ ქაღალდზე შელოცვა წერია), ავადმყოფს თავზე შემოადებს და შეულოცავს:

საკეკი შემოჩვეულა
ჩვენი საბძლის ბოლოსაო.
ისე ამტვრევს რკინასაო,
როგორც ჭარი თივასაო.
წმინდა გიორგიმ დასწყეველოს,
გაიპარა დილასაო.

* * *

ნახშირითა და ხემსით ნიორსა და მარილზე უნდა შეულოცოს.

საბელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდისა.
საკეკი შემოჩვეულა სათივისა ბოლოსა,
ისე ხრავდა რკინასა, როგორც ხარი თივასა,
წმიდა გიორგიმ დასწყეველოს, გაიპარა დილასა.
ღმერთო, შენ დასწერე წყალობის ჯვარი.



* * *

შაკიკი შამომჩეევია
ჩვენი სათიეის ბოლოსა.
ისე სჭამდა რკინასა,
როგორც ხარი თიეასა.
დიდება წმიდა გიორგის.
შაკიკი გაიპარა დილასა.
შაკიკი მოვა ქარისა.
შაკიკი და მისი ქარი
ასე სჭამდა რკინასა,
როგორც ხარი თიეასა.
დიდება წმიდა გიორგის.
შაკიკი გაიპარა დილასა
ცითა, თაფლითა.

* * *

ამას დასწერენ ქაღალდზე გრძლად ერთ მტკაველზე (არ უნდა წაიკითხოს ვინმემ). სამი დღე ტიტველა თაეზე, საითაც ტკიეა, უნდა დაიდოს და მორჩება.

შაკიკი შემოჩეეულა ჩვენის სათიეის ბოლოსა,
ასე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თიეასა.
დასწყეევლა წმიდა გიორგიმ, გაიპარა დილასა.

საბეწველასი

Ახელი ღვთისათა.
ქსელსა ვქსელავდი,
ალვის ვქსოვდი წითელსა,
ყვითელსა მკერდსა აბრეშუმისასა.
ისემც გამოხვალ საბეწველავ მანდედამა,
როგორც დგები საკარცხელშია.
გამოდი, საბეწველავ!
გამოდი, გამოიბურთე!
გველისავ იყავ? – მაინც გამოდი.
ავდრისა იყავ? – მაინც გამოდი.
საქონლისა ხარ? – მაინც გამოდი.
მინდვრისა ხარ? – მაინც გამოდი.
წყლისა ხარ? – მაინც გამოდი.
ფუტკრისა ხარ? – მაინც გამოდი.
ყვავისა ხარ? – მაინც გამოდი.
ვირისა ხარ? – მაინც გამოდი.
ქათმისა ხარ? – მაინც გამოდი.

თიაქრისა

ჯოვზი მქონდა კოტლაკიო,
პინა ხორხოშიანიო.
ძაღლი მყავდა აუგიო,
პირაღმართში ავუშვიო.
შე ტიალო, თიაქარო,
ე ყმაწვილი გაუშვიო.

ამ ლოცვისას შემლოცავს დანა და ნახშირი უჭირავს.

* * *

თიაქარო,
ნუ გორავ მუცელში მურგივით,
ნურცა ეძგერები მეხივით,
ნურცა ჭყვირი ღორივით,
ნურცა ყვირი ხარივით.
არგე ლოცვა, ღმერთო ესე!

* * *

ძაღლი მყვანდა ტაუსიო,
პირაღმართზე გაუშვიო.
ჯამი მქონდა ზიარიო,
კოვზი უფრო თავისიო,
დალოცვილო თიაქარო,
ყმაწვილი გაუშვიო.

* * *

სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმინდისაოა, ამინ.
ერთიკელა, ბურბუშელა, ყავარჯენა.
ისარი მქონდა ლერწმისა,
მოვწიე, წკიპურტი უყავ,
იმერეთ თავი გაღუყავ.
იმერეთ კოშკი მაღალი
დერეფან დაკავებული,
ციცა გამოძვრა რქიანი,
კამეჩი მონაგრიანი...
ძაღლი მყავდა, აუშვი,
თავღალმართზედ დაუშვი.
დაწყეველილო თიაქარო,
ეს ყმაწვილი გაუშვი.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

ხოკისა

ლორების ჭირია. ყელს ატკიებს, უსიებს და ისე ხოცავს. ასეკამეჩებს.

ვინ ხოკი, ვინ ოკოლი?
ვინ თოხი, ვინ ლორწი?
—რა არის მისი წამალი?
—სამი მუჭა ქერი.
აყვავლება ვარდივითა,
ჩამოცვივა ქერის ბუჩოსავითა.
აბუჩალა ჩამორბოდა
მელორისა კარსაო.
მელორემ შემოუძახა:
—უსსენ, ლედავ ლეთისაო,
ხოკი-ოკოლა შეუხტა
ხარსა ბარკალისაო.
რა არის მისი წამალი?
—სამი მუჭა ქერი,

გვირმიჭის, თოფის წამალი.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

* * *

ᲐᲑᲣᲩᲐ მოჩანჩალებდა
მეღორისა სერზედაო.
მეღორემ დაუსტვინა
სტვირი ხორასანისაო.
აღექ, ბიჭო გამეგზანე.
უსიერის მთაზედაო.
წმინდა ვასილს მოახსენე:
ხოკი ან ონკოლი გაჩენილა.
რა არის მისი წამალი?
—ტყვია, ქატო, ვარდ-კანაფი
აურიეთ და აჭამეთ.
სჭირდეს — არ მოკვლეს,
არ სჭირდეს-არ შეხვდეს.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.



ფიჩხისა

როცა თხას ცახცახი მოუვა და კვდება.

(ქართულად)

ფიჩხ, ფიჩხია.
ივანე კვეთაია.
ფიჩხი გაუშვი, თორემ
ა ცული და ა ნამგალი.

(მეგრულად)

ფიჩხ, ფიჩხაია.
ივანე კვეთაია.
ფიჩხი მუტე ვარა,
ა ცელი დო ა მაგანა.



ძროხა როე დაეცემა და კვდება

(სამეგრელოშია ჩაწერილი)

ალუანი:
ბელუანი:
გერგეგეცუანი:
უფუმ:
გერჩ:

მუცლის ტკივილისა

(მუცელკვეთილისა)

ანანია მანანია, ჩემი ხელი წამალია.
ქრისტე სტუმრად – ქვა სასთუმლად,
ბელლი თავი – მოსასვენად.
ერთი ჯამი ცივი წყალი,
ნახევარი ქერი პური,
მუცელ-გულის წამალი.
არიელი, მარიელი, ჩიტი ბულეცარიელი.
გორ შევლექი, გორ მაღალსა,
წყალს უმზერ ფილაფოთსა.
ღმერთო, უხსენი ამას.

ამ ლოცვის დროს ერთ ჯამ ცივ წყალს ადგამენ ავადმყოფის წინ და მას ნახევარს ქერის პურს, ამ წყალში ამოვლებულს, აჭმევენ.

* * *

ეე ესე სამარნო წიგნი მოგეცი.
მე მიყალლიტ, შენ – სახელითა.
ასე რომ, არც ჩემგან,
არც ჩემი ნათესავისაგან,
არც ჩემი გვარისაგან
არა რა გაგიჭირდეს რა.
ჩვენი სახელი ესე არს:
ათირმანი, მათირმანი, შათირმანი.
ათირ, მათირ, შათირ.
მათირმა მიყყალიტ აწრუმულია,
ტყაოსან შუბოსანია წითლოსანი.
წითელი ხატო, უშველე
წითელი მუცლის ტკივილისაგან,
მონახა ამასა შენსა (სახელი), ამინ!

* * *

ოავო, თიავო,
რას იელაე ცასავებ.
რასა ბღლვინაე ზღვასაებ.
მიიარე, მოიარე,
ღეიდევი ქვასაებ.
ქეთ-ქეთ ძაღლი ჩამორბოდა,
ფეხწითელ ბაუჟიო,
ამ ადამიანს მუცელი სტკივა,

უშველე და გაუშვიო.



ტყირპისა

ცულის პირი უნდა მიიტანოს ტყირპთანა და ესე უთხრას:

სახელი ღვთისა, მამისა,
ძისა სულისა წმინდისა.
სამსა მამლის ყიყილსა,
სამჯერ სახელო ღვთისაო,
ტყირპო, გაქრი და გაწყალდი,
ბრძანება არის ღვთისაო.
ლმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

* * *

სახელო, სახელითა მამისათა
და ძისათა, სულისა წმიდისათა.
პირველი მამლის ყიყილსა
სამჯერ სახელო ღვთისაო.

ტყიპრო, ჭკნებოდე, ლნებოდე,
ბრძანება არის ღვთისაო.
ტყიპრო, ასრე ლნებოდე,
ვითარ მარილი წყალში.
რა არის შენი წამალი?
—უცეცხლო თაფლი,
ცხრა მარილის კენიტი
წყალში ჩააგდე, პურს შეულოცე.
პური ძაღლს შეაჭამე.
წაუსვი უცეცხლო თაფლი,
ცხარე ოტკით დაადე.
ეს არის იმის წამალი.

* * *

პირველსა მამლისა ყივილსა
სამჯერ სახელო ღვთისაო.
ტყირპავ, ჰქრებოდე, ჰლხვებოდე,
ილეოდე მთვარესავით
ადამიანის მუცელში,
ბრძანება არის ღვთისაო.

ავადმყოფს ღამ-ღამობით კეჭი უნდა დაუხილო და ღღისით' მომეტებულად არბეინო.

* * *

პირველსა მამლის ყიივილსა
სამჯერ სახელო ღვთისაო.
ტყირპო, ჭკნებოდე, დნებოდე,
ბრძანება არის ღვთისაო.

მარილის კვნიფი უნდა წაისვას და წყალში ჩააგდოს.



ქაჩლისა

სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა, ამინ.
ქრისტე ღმერთმა ხარი დაკლა,
ყველა მუწუკი იწვია,
ქაჩალა კი არ იწვია.
ქაჩალმა უთხრა:
—მე რატომ არ მიწვიე?
—შენ იმისთვის არ გიწვევ,
შეხვალ კაცის თავში,
ადუღდები, აბუხდები.
—არა, მამამან, ძეძან,
სულმა წმინდამან.
არცა ავდუღდები, არცა ავბუხდები.
გავხმე წიეასავითა,
ჩამოვცვივდე ქატოსავითა!
—ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

* * *

სახელო სახელისაო,
მამისა, სულის წმიდისა.
ალმა ხარი დაკლა
ალისისა მთაზეო.
ყოველი მუწუკი იწვიაო,
ქაჩალი მძოვარა არ იწვაო.
შეხვალ ადამიანის ტანშიაო,
ექექები, ლეჩეჩები, ჩირქამო,
ბაყლამო, კოკლამო.
—არაო,
მამა-ძემაო და სულმა წმინდამაო.
გაუხმები წივასეფაო,
ჩამოვცვიეი ქატოსეფაო.
—ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.





გულზე დაედგარსა

ლოცვა, ქალსა და ვაჟსა გულსა რო დაუზელენ:
პეტრემ უთხრა პაელესა:
–რათ არა სჭამ პურსა?
–მიტომ არ ვჭამ პურსა,
ლუკმა მადგა გულსა.
–ორსა, სამსა დილასა
ხელი ჩახკარ გულსა.
ჩაყლაპე ქორიეითა,
მაინელე ღორიეითა.

ნაღრძობისა

Სახელო სახელისაო,
მამისა, სულისა წმინდისაო.
სამი მტრედი მოფრინამდა,
სამი ძარღვი ეჭირაო.
სისხლი სისხლისთვინაო,
ხორცი ხორცისთვინაო,
ძარღვი ძარღვისთვინაო.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

* * *

Ეგა დაეცა, რამ დაუშავა?
ვერძმა წისლი ჰკრა, იმან დაუშავა.
სამი წლის ცხვარმა მოიჭამაო,
სამი დღის კრავმა მოილოკავო.
ნაღრძობის წამალი ჩვენი ლოცვა,

ნიგვზის ბაჟი (კულამსაზარი).

* * *

ნაღრძენზე თითისტარს დააგორებენ და შეუხვევენ.
მწონეს მინდორსაო
მწონე ხე იღგაო,
მწონე ფრინველი იჯღა,
მწონე კვერცხი დეეღვაო.
უჰელოთ შევკეო...
უფეხოთ ჩამოვხეო...
თუ ეს ტყუილი იყოს,
ნაღრძენო – გაიშალეო.

* * *

ხახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმინდისათა.
უცხო მინდორსა უცხო ხე იღგა,
უცხო ფრინველი ბუდეს იღგამდა.
უფეხოდ შეველი, უხელოდ ჩამოვიყვანე,
უცვცხლოდ შევწვი, უპიროდ შევჭამე.
ცხვარმა დაიბღაველა, კრავმა დაიბღაველა.
კრავმა უშველა სამი დღისამა...
ახლა შენც უშველე, ნაღრძობო,
წიწკნისა და ტეხისაგან, ამინ!



ფეხის ტკივილისა

ᲒᲐᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐ – ᲒᲐᲛᲗᲔᲚᲓᲔᲑᲐ,
ᲓᲐᲦᲐᲛᲓᲔᲑᲐ – ᲓᲐᲑᲐᲚᲦᲐᲛᲓᲔᲑᲐ.
ᲛᲐᲛᲐᲚᲘ ᲓᲔᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲧᲘᲕᲘᲚᲡ.
ᲛᲝᲒᲘᲛᲐᲢᲔᲑᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡ.

ბნედიანის წამალი

ბნედამ რო მოუაროს, სულა მოუაროს და დაეცეს იმავე ალაგსა. მოიყვანე შავი მამლაყუჩა, ყელში ცოტა სისხლი გამოადინე, სულ ნუ გამოჭრი ყელსა. იმ სისხლით იმ ადამიანს კოჭიკურის ალაგი მოჰპარსე ჯვარედინათ, აუცერ და შიგ ის მამლმყუჩის სისხლი ჩაუსვი. სადაც დაეცა, ის ადგილი მოსთხარე. ის ცოცხალმკვდარი მამლიყუჩი ახალ უხმარებელ ქოთანში ჩასვი, ის მოთხრილ ალაგში ქოთნიანად პირქვე მოამხე შუა ალაგასა. ის მოთხრილი ალაგი იმ ადამიანის სიგრძე უნდა იყოს. მოიღე ასკილი ადამიანის სიგრძე და ჯვარედინათ ქოთანს ზეიდან დაადე. ჯვარედინათ მოთხრილში ოთხივ თავები ასკილისა მიწაზედ დაალურსმე. იმ ადგილს ისევ მიწა მიაყარე, გაასწორე და ის ავანტყოფი ზედ დაწვინე და კოჭიკურის ნაპარსი თმა და კაცის ძვალი უხრჩოლე მალი-მალ.

მეჯეჯისა

სახელითა მამისათა
და წმინდისა სულისათა.
მეჯეჯმა უთხრა მთვარესა,
მე გჯობიარ შენა.
მზემ ჩაჰკრა თავშია,
ჩააძვრინა ძირითა.

ახალ მთვარეზე უნდა შეულოცროს

ცოფისა

ჴერე-ბერე, სერე-სერე.
ავთელო, კავთელო.
ქრისტეე,
შენ ხარ წამალ ცოფისა.

* * *

Მაღადებენ ნიშნები შენი.
ᲛᲘთ ერგე, რომ მისით ერგოს
პირუკუღმართ.
ღაისხას მაღალითა სახელებითა,
შეიკრას უნდო პირი გრძნეულისა
და უტყველთა მადლითა.
ქაჯთა ნაკბენი ცოფიანისასა;
რაც ცოფიანი იყოს, შეუშვი
მიგრატო, ჩაგრატო.
ბილწო, წყეულო ღვთისაგან.



ესვი, რაც ჭირდეს ხრეკსა;
დასწერე, ღმერთო, ჯვარი,
არგე ლოცვა ესე ცოფიანისა.

წელის ტკივილისა

ღმერთმა უთხრა ანგელოზსა,
გადახედე ხმელეთსაო,
ან ქვრიეი ხომ არ წუხდება,
ან ობოლ ხომ არ ტირისაო.
არც ქერიე წუხდება,
არც ობოლ ტირისა.
(სახელი) წელი უჭკენია,
ის ჩიეის და ის ტირისო.
გადავიდეს ბაჩაშიო,
გადმოიღოს სამკენა ფოთოლიო.
ქალ მოუზილოსა, ქალ მოპოხოსაო.
ანგელოზებ ამინობენ,
ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი.

აკალმოეს წელს უზილავენ ერბო-კარაქით და თან რკინეულ-ხაც გადაუსვამენ.

ჭვალისა

ეოდიოდა ქრისტე ღმერთი,
იჯდა კვიცზედ უხედარზედ.
ვედიხედა ქვედა ქვეყანაზე:
—ნეტა რისი ზიეილია,
ნეტა რისი კიეილია,
არავინ ატირებდეს ქვრივსაო,
არცა რა ვინ აკლებდეს ობოლს მწირსაო.
—არა, მამა-ძე და სულო წმიდაო,
არც არავინ ატირებს ქერივსაო,
არც არავინ აკლებს ობოლს მწირსაო.
დედა მარიამ, ჭვალი ასეია,
მისი ზიეილია, მისი კიეილია.
რა არის მისი წამალი?
თვით მოსრული კანაფი
გადავრიხე, გადმოგრიხე, გაძაბი,
გადაცვი მახათსა,
ის გაუქრობს ჭვალსა.

* * *

ადგომილო, დადგომილო,
ოეთერო ქარო, გაფრენილო!
პეტრემ უთხრა პავლესაო,
რატომ არა სჭამ პურსაო?
მიტომ არა ვსჭამ პურსაო?
მჭვალი მახვია გულსაო.
რა არის მისი წამალი?
ოეითმოსული კანაფი!
ის დანაყოსო, დაიდოს,
ის არის მისი წამალი.
მაღლიდან კაცი იცახის,
ქვეოეთ ტირის ქვრივ-ობოლი.
არც ქვრივი ტირის.
არც ობოლი ტირის.
მჭვალი ადგია გულსა.
რა არის მისი წამალი?
ციეი წყალი სასმელად,
ციეი ქვა და ციეი რკინა სასოუმლად.

* * *

სახელი სარელითა, შაგილოცამ ჭელისასა.
რა არის შენი წამალი? წითელი ბაწარი და კანაფი,
გადაუსვი მარათი, ეშველება მჭვალესა.
არ გამოხვალ ნებითა, გამოგიყვან ძალითა,

დაგცემ შავტარა დანას, მიგცემ მდინარე წყალსა.

* * *

ქალ-დედა მარიამია,
მხართ ადგია ჭყალია.
– რა არის მისი წამალი?
გალანტი ღობეს ეენახისაა,
მოგლიეჯე სამი კანაფი,
წიოელი ძაფი.
დედამ შაჰკრას, შახვლანჯოს,
შვილმა გახსნას – გაიხსნება ჭყალი.



ბედნიერისა

ბედნიერს ასეთი სიტყომები ახასიათებს: ჯერ მოწითალო ფერის ხიმსივნე გაჩნდება, შემდეგ გაოეთრდება, დაწყლულდება და მოშავო ფერისა ხდება. იცის წვა, ქაეილი და სახსრების ტკივილი.

ᲐᲮᲐᲚ სახელო ღვთისაო,
მამავ, ძე, სულო წმინდაო,
ბედო, ბედნიერო, სახეტურფა შვენიერო,
შეხვალ კაცისა ტანსა,
იკბინები ძალლივითა,
იჯღანები ქორივითა,
ტკბილად იყავ შაქარივითა.
და ქედი გქონდეს ბროწეულივითა;
რაო, ამოხვალო ცეცხლივითა,
დაჯდები ვერცხლივითა.
—რა არის შენი წამალი?
—დიკის ფქვილი, ქათმის შეილიო,

წითელი და თეთრი სანდალიო,
დევის სისხლი, ბაყაყი,
მოშუშული ჩაღანდრი,
ვარდის ყოილი, დაშაქრული რძე.
დაცხრი, დაამდი,
შენის ყოვლის-წმინდის მზესა,
ღედის ძუძუსავითა.
თუ არ დაცხრები, არ დაამდები,
გადაგორდი ცერცვივითა,
გადმოგორდი გველივითა,
გადიქროლე წყალივითა,
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა,
დახმარება წმინდა გიორგისა.
გერგოს, გეწამლოს.

* * *

სახელო სახელოსაო,
მამისა, სული წმინდისა.
ბედო, ბედო, ბედნიერო,
სახელ ბატონ მშვენიერო,
ამოჯღები ვერცხლივითა,
მეფღები ცვცხლივითა.
—არ არი შენი წამალიო?
—შავი ღელლის შვილიო,
აყირო გოგრა, ქადა-შაქარიო,
სამღებროს ლილა, ბალბა —

ის არის ჩემი წამალიო.
შაკტარიანი დანითა
გალაჭერი კორკოტანა.
ეს ბედნიერის ლოცვაა,
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

* * *

სახელო სახელთა,
მამითა და ძითა
და სულითა წმინდითა.
შენ ხარო ბედო-ბედნიერო,
ტანად ტურფაო, მშვენიერო.
ქარისა ქარო მავალო,
სირმასაგულიანო,
სად დაიბადე, სად დაიარსე?
—თეთრი მთის ძირსა,
შავი ზღვის პირსა,
გამოვჟევ ქარსა მზვიანსა,
დავიმალე ცხენის ნატერფალზედა,
ხარის ნაჩლიქარზედა.
ავდეგ, აეიღე თავი,
დავდვი თეთრი კარავი,
და ვუჟურე სოფელთა.
სოფელ-კარნი აყოვდენ,
როგორც იანი, ვარდნი.

ჩაეედ, ჩაეუყურე.
ვეცი ცხენის ფაფარსა,
მაულე მუხლი მავალი.
ვეცი ხარის კისერსა,
მოვუგლიჯე ქედი,
გავუტეხე ძვალი.
ამოვარიდე ტვინი.
ვეცი ვაჟკაცს ულვაშ-კოკორას,
ჩამოვთიბე თმა-ულვაში,
მაულე მუხლი მავალი.
ვეცი ქალსა ძუძუ-კოკობას,
ჩამოვთიბე თმა და ღილი,
ავატირე ქრისტეს დედა,
მარიამი.
შაუტია ქრისტემა, უფალმა:
–რადა სტირი დედაე-მარიამო?!
–რადა ვსტირი, ქრისტეე უფალო,
ღვთის ნათლულო, ღვთის ნაკურთხო,
რა იქნება სიმსივნის, სიმტკივნის წამალი?
–ავილებ ოქროს ყავარჯენს,
შამაუვლი ხმელეთს, ვკითხავ წამალსა.
შაუტია ბედმა-ბედნიერმა,
ტანად ტურფამ, მშვენიერმა:
–რას ჰკითხულობ, ქრისტე უფალო,
ჩემს წამალსა,
სთხოვე ჩემს მაარსებელს,
ჩემს გამამშვებელს,

უფალს...
ახლა კი ვბრძანებ ჩემს წამალს
ჩემის პირით,
ქრისტეო უფალო:
—ააყვავეონ ჩემნი გზანი ია-ვარდითა,
თეთრის ხარით, თეთრის ცხვარითა;
ახლა კი ვიყრი ყოილს,
ვიწერ ჯვარს,
დავტკბები და დავშაქრდები:
იყო პირველად ჩემი წამალი
გოგრის პირის მზე
შაქრით შადედებული.
იყო ჩემი წამალი
ბადალი ბალახი, ბალბა ბალახი.
იყო ჩემი წამალი
ირმის ხუთო, ირმის წუნკლიო,
პირის სალბობიო, ფსიტის კუდიო.
იყო ჩემი წამალი
იფქლის ფქვილიო,
შავის ქათმის შვილიო,
შაქრით შადედებული მალამო
და გაკეთებულიო,
წითელი ფურის ნაწველი,
ბალბა ბალახი,
კურღლის ტყავი შაქრით,
თაფლი მანანდადებული.
დამილბეს ფეხის ნალნიო,

ვერცხლეული არა რა ყოფილა
ჩემი საკადრისიო
სულიერზედა, ხორციელზედა.
დავმგზავრდი შავის ზღვისაკა,
თავის მეუფისაკა.
შამამეყარნენ ტყის მხეცნი,
ბაყოტნი,
შემამაშალნეს სიკვდილის წარბნი,
შამამთავაზეს და გადუქნიე,
გამოვაბრუნენ წყეულნიო;
ვიყრი ყოილს,
ვიწერ ჯვარს,
დავტკბები, დავშაქრდებიო.
არგე და აწამლე,
ღმერთო და ჩემო გამშვებელო!

* * *

ჲე ვარ ბედი ბედნიერი,
ტურფა, სახე მშვენიერი.
ამოვალ ვერცხლივითა,
დავჯდები ცეცხლივითა.
—რა არის შენი წამალი?
—წყლის შვილი (ბაყაყი),
ზღვისა ქათმისა შვილი (წიწილა) —
დაშაქრული დაადოს.

* * *

ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲡᲐᲗᲐ
ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡᲐᲗᲐ.
ᲨᲔᲜ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲪᲜᲝᲑ, ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲦᲛᲔᲠᲗᲝ,
ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲜ ᲛᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘ.
ᲑᲔᲓᲘ ᲕᲐᲠ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ,
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ.
ᲑᲔᲗᲚᲔᲛᲡ ᲜᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲕᲐᲠ, ᲔᲚᲔᲛᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ.
ᲛᲝᲕᲔᲓᲔᲑᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲕᲘᲗᲐ,
ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲬᲧᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲕᲘᲗᲐ,
ᲛᲝᲕᲑᲚᲐᲕᲘ ᲑᲐᲢᲙᲐᲜᲘᲕᲘᲗᲐ,
ᲛᲝᲕᲙᲐᲙᲐᲜᲔᲑ ᲥᲐᲗᲐᲛᲘᲕᲘᲗᲐ.
ᲮᲐᲠᲡ ᲨᲔᲕᲔᲧᲠᲔᲑᲘ – ᲙᲘᲡᲔᲠ ᲬᲐᲣᲮᲚᲔᲜ,
ᲤᲣᲠᲡ ᲨᲔᲕᲔᲧᲠᲔᲑᲘ – ᲫᲣᲫᲣᲡ ᲨᲔᲕᲐᲨᲠᲝᲑ,
ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲡ ᲨᲔᲕᲢᲐᲪᲔᲑ ᲡᲘᲡᲥᲔ-ᲑᲐᲠᲫᲐᲘᲡᲐ,
ᲥᲐᲚᲡ ᲨᲔᲕᲔᲧᲠᲔᲑᲘ, ᲫᲣᲫᲣᲡ ᲨᲔᲕᲐᲨᲠᲝᲑ.
ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ?
ᲓᲘᲙᲘᲡᲐ ᲤᲥᲕᲘᲚᲘ,
ᲥᲐᲗᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲐᲟᲘᲠᲝᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ.
ᲤᲣ, ᲠᲐ ᲕᲗᲥᲕᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ!
ᲨᲔᲣᲚᲝᲪᲔ ᲨᲐᲥᲠᲘᲗᲐ.
ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲨᲔᲜ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲔ
ᲨᲔᲜᲘ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲯᲯᲐᲠᲘ.

* * *

ბედნიერო, სახელათ მშვენიერო,
აბრძანდა დედა მარიამ,
კურნელი წავიდა,
იერუსალიმის გარზედა დაჯდა,
სტირიოდა.
გამოვიდა ქრისტე ღმერთი,
ჰკითხა:
--დედავ, რას სტირიო?
--როგორ არ ვიტირო?
გამოვიდა, გამორიდა წვიესა მარჯვენასა,
წვიესა მარცხენასა,
რა არის მისი წამალი?
--თავით შესულხარ -- ფეხით გამოდი,
ფეხით შესულხარ— თავით გამოდი,
თორემ მოკლენ ანგელოზნი ქანიანი,
ქანქარიანნი რკინის ჯოხითა,
გაგაქრონ ქარიკითა,
გაგაწყალონ წყლიკითა.
წამალი ბედნიერისა გოგორსა და შაქარი,
ქულა წიწილა დაშაქრული.
ქინძი დაშაქრული,
ბალბა, დუმა დაშაქრული
სულ ყინვარე შაქრით.

(შეულოცე ამ წამლებზე და ესენი აღევ, მორჩება.)

* * *

ლოცვა წითელი ქარისა,
ქარისა, ქარსურაავანდისა.
ქარისა, ქართ ავი ზნისა,
ქარისა, ქარ საყმაწვილოსი.
ყოველი ქარი თავისა.
არცა იყო ზღვა,
იყო ზღვაში საყდარი
ზღვაში კიდობანი.
ლოცვა ჩემი, მარგებელი,
ღმერთო,
რატო ჩემ ლოცვას არ გეიგონებ.
მევიტან ჩემსა შაეტარიან დანასა,
პირსა ბოროტსა, აგჭრი, დაგჭრი,
ჩაგადგამ ქოთანსა ვარვარისასა,
ცეცხლსა შემოგინთებ ალისასა.
რას მოყვირი კურო მოზვერსაეითა,
რას მოჭყვირი წითელი ღორიეითა,
რა არის შენი წამალი?
—ლილა, წითელი წამალი,
ღორის ქონი, მაჩვის ნაღველა.
კლდისა პირსა დაეკრამ წიხლსა,
ღევიტან ფეხის ნეკსა ქვენეთა.
კურო მოზვერი მორბოდა,
მოზდევდა გველი ფთოსანი.
შემოეყარა დედა მარიამი ქრისტესა.

—სად მიხვალ გველო ფთოსანო?
—მივალ კაცისა ასოსა,
ძვალისა სახრავად,
სისხლის სასმელად.
—არა, მამამ, ძემ და სულმა წმიდამ,
მე გამოგიყვან ელვითა, ბდგვენითა.
ალმასის ხვეწნითა,
მარიამის ბეჭდითა,
ჭაბუკის ძახილითა.
ჩვენ ვიყავით სამი დანი,
სამებისა ძალისანი,
ვიარებოდით თისა თამდინა,
ეკრებდით წამალსა ავანისასა,
შეესიენებისასა.
გამოქარდი ქარიკითა,
გამოწყალდი წყალიკითა.
არგე ლოცვა ჩემი და მარგებელი ღმერთი.

წითელი ჯარისა

ბედო, ბედო, ბედნიერო,
სახელტურფა მშვენიერო,
მოხქრიდი ქარებულადა,
მოღნამავ ნამებურადა,
მოეფინები ვერცხლებურადა.
აჰა, უფალი, სახელი შენი,
ვიმალებოდე ვაჟის ქოჩორში,
ქალის ძუძჩი, ჯარისა მკერჩი.
გამოდი, თორო გამოგიყვან
ლანითა ტარშავითა.
ზღვა ჩქეფით გამოვიარე,
ვერამ ხორციელმა ვერ მიცნა,
თუ შენ არ მიცან ქრისტემა ღმერთმა,
მათ საის მიცნან ჯორციელთა.
ბევრ შვილი, ბევრი ღრიმესა,
ვერ გავიგონებ მამლის ყივილსა,
ჯარის ყვირილსა.

გამოდი, თორო გამოგიყვან
დანითა ტარშავითა.
წამალს ვკითხულობ, წამლადამც გერგება
მამლისა ჩიგი, დიკისა ფქვილი,
უცეცხლო თაფლი.

ამ შელოცვის დროს უნდა ხუთოები, ვერცხლი, ენდრო ილესებოდეს კვერცხის ცილაში, წითელი ძროხის რძეში და უცეცხლო თაფლში და იმას წაუსვამს ავადმყოფს. იარაზედ ან დაფქულს შაქარს დააყრის და ვერცხლს მოუსვამს. შავტარა დანა უნდა ეჭიროს მლოცველს.

* * *

სახელო სახელისაო,
მამისა, სულისა წმინდისა.
სამნი დანი წამოვედით
ქალაქის ქალაქამდისინ.
ვკრეფდით წამალსა
ქარისასა, ქარსურავანდისა,
წითელი ქარისა, თეთრი ქარისა,
მჭვლისა და ქართიაქარისა.
მჭვალო, მჭვალთიაქარო, გამოდი,
გამოყე ჩემს სალოცებსა,
ჩემსა ლოცვასა.
გამოგიყვან ელვითა, ჭექითა,
ჭაბუკების ძახილითა,

ლაგკაე-ლაგკუნამ ალმასის ლანითა
შავტარიანითა.
აგიგლებ ზენაქარსა,
წაგალებინებ ქვენაქარსა.
ლმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

* * *

სახელო, სახელისაო,
მამისა, ძისათაო და სულისა წმიდისაო,
შეგილოცამ წიოელი ქარისასა,
ქარ-ხურაკანდისასა,
ქარ-ცეცხლისასა.
გამოდი, გამოჰყე ჩემსა ლოცვასა,
შენ არ გამოხვალ შენი ნებითა,
მე გამოგიყვან ჩემი ძალითა.
აგიყვან ძაღლა ძაღლისა მთაზელა,
გაგლეწამ ალმასის კვერითა,
შაგგვი მელის კუდითა,
გაგანიავებ გველისა ფხითა.
ზენას აგიგდებ – ქვეყანას წაგალებინებ,
ქვეყანას აგიღებ – ზეცას წაგალებინებ.
გადაგკარგამ, გადაგქანჯამ,
არც გესმოდეს მამლის ყივილი,
არც გესმოდეს გოჭის ჭყივილი,
არც გესმოდეს ურმის ჭრიჭინი.

დაგწეროს ღმერთმა თავისი ჯვარი.

* * *

(შავტარიანი დანითა და ნახშირით სამჯერ უნდა შეულოცოს.)

ვლეწამ სინის კევრით,
გაგანიავებ ლაღის ფიწლით.
ჩაგაგდებ ასეთ ადგილასა,
არც გეყურებოდეს შავი კატის კნავილი,
არც გეყურებოდეს შავი მამლის ყივილი,
არც შავი ოთხფეხის ყეფა!
ქრისტე მიბოძებს რკინის ბორკილს,
შაკკარ ეს მოარული ჭირი.

* * *

ვიარებოდი ქალაქს, ქალაქის ქალაქს,
ვკრეფდი წამალს, წამლის წამალს,
ავი ქარისასა, ქარშეევანისას,
წითელი ქარისას, თეთრი ქარისას,
ლურჯი ქარისას.
გამოდი, დამბადებელს მადლობა,
თორემ გამოგიყვან
ჩემი შავტარიანი დანითა.
თუ არ გამოხვალ,

ჩემი ძალით გამოგიყვან,
წმიდის სამების ძალიო,
ქვაბს ჩაგაგდებ სინისახა,
ცეცხლს აგინთებ ლალისახა.
გამო!

* * *

ეხალ სახელო ღვთისაო,
შამაე, ძევ, სულო წმინდაო.
მოვიდოდა წითელი ქარიო,
მოცოცდებოდაო მაჩვეიოა,
შეეყრება ქრისტეს დედა მარიამიო,
—საღ მიხვალ წითელო ქაროო?
—უნდა შეეიღე კაცის ტანშიო ,
უნდა ვამტვრიო ძვლებიო,
გავლოკო სისხლი, შავლოკო ტვინიო.
მე ვიცი მაგის წამალიო:
წითელი ფურის რძეო,
ყინვარ-შაქარიო,
პირიმზე ბალახიო,
კურდღლის ტყავიო,
ირმის თასმაო.
ვიმალებოდიო ჯარის ნაქაჩარშიო,
ცხენის ნატერფალშიო.
—გამეელვე, წითელო ქარო,
გეხვეწებიო, გეხვეწებიო,

დედის ჩემის უბე-ფარაგითაო,
თორემ ჩაგაგდები ქვეთა-ყურეთაო
უსრობ-უსრობთაო.
არ მაგდიოდესო წყლისა შხუილიო,
არც მამლის ყივილიო,
არც გელის წივილიო.
ჯვარი გეწეროსო
წმინდის გიორგის დაწერილიო,
ცხრაჯერ ცხრათა ანგელოზისაო,
ცული ტყეში წავიდაო
ტარის მოსატანადაო,
ცულსა თუ თავის მოტანილი
ტარ ერგებისაო,
შენ ჩემი ლოცვა
როგორ არ გერგებისაო.
ლოცვა ჩემი მოგონილი არ არისო,
ქრისტეს დედის, მარიამის მოგონილიაო.

შეულოცავენ, სიმსივნის დემაკრაციულ ხაზს ირმის თასმით შემოსაზღვრავენ — წითელი ქარი აღარ გაიზრდებაო. წითელ ქარს შაქარს-ყინულსა და რძის ნაღებს წაუსვამენ, ზემოდან კი პირიმზე ბალახს დაადებენ.

* * *

ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲝ, ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲡᲐᲝ.
ᲨᲔᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕ ᲥᲐᲠᲘᲡᲐᲡᲐ, ᲥᲐᲠ-ᲡᲣᲠᲐᲕᲐᲜᲓᲘᲡᲐᲡᲐ,

წითელი ქარისასა, თეთრი ქარისასა.
გამოდი, გამონიავდი.
თუ არ, მოვლენ ანგელოზები,
გაქანებენ ქარიკითა,
გაგაწყალებენ წყალიკითა,
ჩაგაგდებენ ხევში, ხევ-ხრატში,
შეგჭამს ყვავი და ყორანი,
ჭიანჭველა ბოლო ფრთიანი.
გაქრა, გიარა.

შელოცვის ღრომ სიმსივნეზე წაუსვამენ ძმარსა და ცარცსა ზეითუნზეთში მორეულს.

* * *

მოვიდა წითელ ქარი.
მახოხვედა დათვიკითა,
მაცოცვედა მაჩვიკითა,
წითელი კაბით,
წითელი თავშლით,
წითელი ჩაქმით.
შაეყარა ქრისტე ღერთი:
—საღ მიხოლ, წითელ ქარო?
—შაოლ კაცის ტანში,
ჯორცს დავადნობ,
სისხლს დავაღენ,
გალოს დავნაყ,

ტვინს დავლოკ.
—არ შაგიტვე კაცის ტანში,
არ დაგადნობიებ ჯორცსა,
არ დაგადენიებ სისხლსა,
არ დაგანაყიებ გალოსა,
არ დაგალოკიებ ტვინსა.
აგიყენებ ალმას, ჩაგიყენებ დალმას,
აგჭრი ყელ-ყურს,
ჩაგაგდებ ხევთა, ტყეებსელთა.
არ მოგდიოდას ჯარის ყვირილი,
არ მოგდიოდას ცხენის ჭყივილი,
არ მოგდიოდას კაცის კივილი,
არ მოგდიოდას მამლის ყივილი.
ცულის მოჭრილი
ცულის ტარად აეგების,
ჩემი პირის ნათქვამი
შენ კარგად შეგეგრგების.
გამაე, თორემ გამოგიყვან
შავის ცხენის ჭყივილითა,
გამაე, თორემ გამოგიყვან
შავი ჯარის ყვირილითა,
გამაე, თორემ გამოგიყვან
შავი ლორის ჟღმუილითა,
გამაე, თორემ გამოგიყვან
შავი ძაღლის ყმუილითა,
გამაე, თორემ გამოგიყვან
შავი მამლის ყივილითა,

გამაე, თორემ გამოგიყვან
შავის გველის წივილითა,
გამაე, თორემ გამოგიყვან
ღვთითა და ღვთისშობლითა!
—მა, რაია შენი წამალი?
—წითელ შაქარი,
წითელის ფურის რძეი,
ირმის თასმა თიკნის ტყავზე ენდრო წაყრილი.
გამაე კაცის ტანშიგით,
დაცხერ-დაჭანი,
გვენდევ ცას რვალს,
მიწას მყარს,
გვენდევ ლედის ძუძუს,
მამის ხონჯარს.

შელოცვის დროს ხელში უჭირავთ წითელი შაქარი (ყინვარ-შაქარი) და ურძნის ნაჭერი.





პირქვეთისა

ღასხდეს დედანი, მამანი
კარსა სამოთხისასა,
ღთითა, თის წესითა.
ჩვენ სამნი ძმანი ვიყვენითა:
მათე, ივანე, მარკოზი.
წავედით ნადირობად, ვინადირეთ.
ზღვას იქით გადვიყარენით,
ზღვას აქეთ გადმოვიყარენით.
კვალ ეკვლიეთა, გავკვლიეთა:
წითელ ქარისა, ყვითელ ქარისა,
პირქვეთისა, ხავრისა-ხავრეჯისა
ორბი იყავ ორბისა, წიწილ ორბისა.
ლარი დავაგო, ლარი აბრაშუნისა.
ქალს ყმას მოვხვდი,
ვაჟს ყმას მოვხვდი,
ჯორცს დავადნობ, სისხლს დავადენ,

გალოს[1] დაენაყ, ტვინს დავლოკ.
მოვიდოდა ქრისტე ღმერთი
ცხრი მღვდელითა, ცხრი დიაკვნითა,
ერთი ღაღადობითა:
—არც ჯორცს დაგადნობიებ,
არც სისხლს დაგადენიებ,
არც გალოს დაგანაყიებ,
არც ტვინს დაგალოკიებ.
ცხრან ლეწვევდეს,
ათნი ანიავებდეს ოქროს ფიწლითა,
ოქროს ჭელვარცლითა.
შენს ჭირსა,
შენს სატკივარსა,
გამაედ, თორე გამოგიყვან
ღვთითაც და კვირაის ძალითაც.

1 გალო – (ხევსურულ, ფშაურ, ოუშურ დიალექტზე) ძვალი.

პისრის ტკივილისა

ზეცას ეკედი უფეხოთ,
ტრედი დეეიჭირე უხელოთ,
დაკალი უდანოთ,
შევწეი უცეცხლოთ,
გადაკყლაპე უყორყოთ.
სამო სახტარო ციხანო,
სამო ფრონვანო წყლიხანო,
ყვაკო, ყორანო, ყანჩავო,
ღმერთზე რა შენი მადლია,
საბრალო კაცი დახრჩვავო?
უუსვამ ცერსა,
დუუსვამ ნეკსა.
- გუუxავრებ სენსა,
ილოცავ და
მუუსწრობდა ყელსა.



კუსი, ანუ წულისასი

(ქალს რომ ძუძუ ატკივდება)

კუო, კუო, კურკუმელო,
პირალმართო, პირდალმართო,
პირდალმართო, ჩონჩორიკო,
რას შემჯდარხარ შავსა როკსა,
წამოგისხავს შაკი მაზარა,
აგჭრი ალაითა, მალაითა,
ჩემი შაკტარიანი დანითა,
ჩაგაგდებ ქოთანსა რვალისასა,
ცოცეხლს შეგინთებ ალისასა,
გაგაქროლებ თვალთა წამისასა.

* * *

ჩვენ ვიყაეით სამნი ძმანი,
სამებისა ძალისანი.

დაედევარო,
დაეძებთ წამალსა,
წამლის წამალსა.
ძუძუს ტკივილო, გამოდი,
გამოჰყე ჩემსა ლოცვასა!
არ გამოხვალ ნებითა,
გამოგიყვან ძალითა –
ღვთის შეწევნითა,
ამინ!

(ამის წამალი: კირი და თაფლი აურიე და წაუსვი.)

* * *

ორკო, ორკო, ორკოლმართო,
თავდალმართო, ჭეშერასო,
რას გადმოძღვარხარ მაღალსა გორასა,
რას წამოგისრამს შავი მაზარა.
რას გამოკიეი წითელი მამალივითა,
რას დაკიდებულხარ წითელი პეპელავითა.
აქეთ და დაქეთ ჩემისა
შავისა შავტარიანი დანითა,
გადაგაგდებ რაინსა.
არცა ხქონდეს საყოფი შენი,
არცა ხქონდეს სადგომი შენი.
(საბუერ).

* * *

ნავი იძრა, ბანი იძრა,
ნავის თავზე ქალი იჯდა,
ადე, ქალო, მეიტანე
კალამი და მელანიო,
დაგკრამ წყლისას,
გავაპარეფ დილას.

* * *

ალალ ზეცას, ვეტყვი დედას,
ჩამოვიტან ბეოლის ტეფას,
მაშცემს დანა-ჩქიფსა,
დაგკრამ ძუძუს თავსა,
ის გააქრობს წყლისასა.
რას შემომჯდარხარ შავ ჯირკსა,
რას წამოგისხამს მაზარა,
აქთიბამ, დაქთიბამ,
გაგიტან რკინის კალოზე,
დაგადეფ ოქროს ფიწალსა,
გაგაქრეფ ქარიკითა,
გაგაწყალეფ წყალიკითა...
მარიამისა ნეკითა,
სოლომონისა ბეჭდითა.
ადე, ქალო, მამიტანე
კალამი და კალმის ძირი...

ავალ ზეცას, ვეტყვი დედას,
მამცემს დანა-ჩქიფსა,
დაკერამ ძუძუს თავსა,
ის გააქრობს წყლისასა...

* * *

Ნყალო წყლისა,
გამჩენო ღვთისაო.
დედაჩემმა შამოსთვალა --
ამ ბოვშეს ნურას მიწყენო.

* * *

Ლახელითა მამისათა
და ძისათა
და სულისა წმიდისათა.
ანი იყო, ბანი იყო.
წყალთა შუა ნავი იყო.
ნავი ნავზედ,
საყდარი საყრდის თავზედ,
ქალი იყო,
ადე, ბიჭო, მომიტანე
კალამი და კალმის ძირი.
წავალ დედაო, ზეცას ვკითხავ,
დედა მომცემს ზანგალსა,

დაეკრავ წყლისასა და
ის გააქრობს იმასა.

* * *

წყლისა აღმართო,
წყლისა დაღმართო!
მოდის სამი დანი,
ერთსა ჰქვია ანგელოზი,
მეორეს კანკარა,
მესამეს გაჭრისა ხარი.





გათვალულისა

შემლოცავი წინ წყლით სავსე თასს დაიდგამს, შიგ ნაკორჩხალს ჩააგდებს. მერმე ნაჩშირიან წყალს ავალმყოფს შეასხურებს, თან დანით ჯვრებსაც დაუსვამს.

ᲐᲮᲐᲚ ᲮᲐᲮᲔᲚᲝ ᲮᲕᲗᲘᲡᲐᲝ,
ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲮᲕᲗᲘᲡᲐᲝ.
ᲨᲔᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕ ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐᲡᲐ,
ᲐᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐᲡᲐ, ᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲡᲐ.
ᲘᲯᲓᲐ ᲓᲔᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲙᲐᲛᲡᲐ,
ᲥᲮᲝᲕᲓᲐ ᲥᲡᲔᲚᲡᲐ ᲛᲝᲬᲔᲣᲚᲘᲡᲐᲡᲐ,
ᲗᲛᲐᲡᲐ ᲬᲜᲐᲕᲓᲐ ᲑᲠᲝᲬᲔᲣᲚᲘᲡᲐᲡᲐ,
ᲒᲣᲠᲓᲖᲔ ᲔᲓᲒᲐ ᲛᲘᲚᲗᲐ ᲙᲝᲙᲐ,
ᲨᲘᲒ ᲔᲓᲒᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ.
ᲩᲐᲛᲐᲘᲐᲠᲐ ᲒᲔᲗᲐ ᲣᲠᲘᲐᲛᲐ,
ᲨᲔᲜᲐᲢᲠᲐ ᲡᲐᲜᲭᲠᲔᲚᲘ.
ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲐ ᲛᲘᲚᲗᲐ ᲙᲝᲙᲐ,
ᲓᲐᲘᲓᲔᲕᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ.

დაჯდა დედა მარიამი,
დაიწყო ტირილი. ჩამაიარა
დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა,
უთხრა: – დედა მარიამო,
რა გატირებსო?
დედა მარიამმა უთხრა:
–რა არის რა მატირებსო?
ჩამაიარა წყეულმა გეთა ურიამა,
შენატრა სანატრელი,
გადაიქცა მილთა კოკა,
დაიღვარა ვარდის წყალი.
უთხრა ქრისტე ღმერთმა:
–დადგი უმხსნელიო (დილის წყალი),
ჩაყარე უშრეტიო (ნახშირი),
აგიდგება მილთა კოკა,
ჩაგიდგება ვარდის წყალი,
ქსელს დაქსელავს ძოწეულისას,
თმას – ბროწეულისას.
წმინდა გიორგიმ დასწყევლოს:
ავის თვალი, ავის გული.

* * *

ეუ, გაქრა მაკლებელი,
წმინდამ გიორგიმ დასწყიოს:
ორშაბათი, სამშაბათი,
ოთხშაბათი, ხუთშაბათი,

პარასკევი და შაბათი.—
ამ დღეებში რა დღეს შეგეშინდა?
თვალ შავმა შეგაშინა,
ძუძუ კოკობმა შეგაშინა,
ულვაშ კოკობმა შეგაშინა,
თვალ მარჩხამ შეგაშინა,
თვალ ავმა შეგაშინა,
ძაღლის ყეფის შეგეშინდა,
მამლის ყივილის შეგეშინდა;
ამ დღეებში ორშაბათს შეგეშინდა,
ღამე შეგეშინდა თუ დღე შეგეშინდა.
თუ ამ დღეებში რა დღეს გამოგეყარა:
ორშაბათს, სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს თუ შაბათს.
ჯვარი, კინც რა იცოდეს
დანაღებისაგან, ფიქრისაგან,
მოარული ღამისაგან
ჯვარი გეწეროს.
თეთრი ქორი მოვიდა,
თეთრი ფერი მოგიტანა.
წითელი ქორი მოვიდა,
წითელი ფერი მოგიტანა.
შავი ქორი მოვიდა და
შენი ჭირი და საჭკვარი წაიღო.
გაქრა ქარივითა,
გაწყალდა წყალივითა,

შენი ავი თვალითა და გულით მაშზირალი.
სამას და სამმა წმინდა გიორგიმ
დაგწერის ჯვარი და
გალაგავლოს თვალი.

* * *

სახელითა ღვთისაია,
მამისათა, ძისათა.
ლოცვა ნათვალავისა.
მოვიდა წითელი ქორი,
შემოჯდა წითელსა ხესა,
გააკეთა წითელი ბულე,
დადვა ოთხი კაკალი წითელი კვერცხი,
გამოჩეკა ოთხი მართვე.
განქარდა წითელი ბულე,
გასქარდა წითელი მართვე,
განქარდა წითელი ქორი,
განქარდა ასე ამის (სახელი)
ავი თვალით შეშხედვარე.

* * *

ესა სახელო ღვთისაო, მამისაო და ძისაო.
შაგილოცავ თვალისასა, ავგულისასა,
მეშურნე-მეაბჯრისასა.

ვინ იყო შენი მთვალავი:
თვალშავი იყო, თვალჭრელი.
შენი მთვალავის თვალში ნაცარი,
გულზე ლახვარი, კარით მეხი,
საკმით ცეცხლი. გამოდი,
ავის ავთვალო, თორემ გამოგიყვან,
გამოიდა.
გამოიშალა შავი კლდე,
გამოვიდა შავი რაში,
ზედ იჯდა შავი მხედარი,
ტანზე ეცვა შავი ჩოხა,
წელზე ერტყა შავი ხმალი,
თან შემოყვა შავი გველი,
შემოუქნია შავი ხმალი,
გაწყდა გველი, გასკდა იმისი თავ-გულიო,
ვინც შენ ავის თვალ-გულით დაგსინჯოსო.
გაქრა ქარივითა, გაიარა წყალივითა.
შენ ჯვარი გეწეროსო.
შენ ჯვარდაუწერელს ჯვარი ნუ დეეწეროსო.
ისე გახმეს მისი წელი,
როგორც მაღლა ხარის წვერი.
ისე გაღნეს მისი თვალი,
როგორც წყალში მარილი.

შეშლოცველს ხელში ნახშირი უჭირავს, დანით ფხეკს, უბჯრავს. დასასრულს ნახშირს ფეხით გასრესს, წყალში გახსნის და ავადმყოფს ასხურებს. ავთვალნაკრავს შეაბამენ: ურძენა ხის

მძიეს, ტყემლის ნახშირს ლურჯ ჩვარში გამოკრულს.

* * *

Ახალ სახელო ღვთისაო,
ღედ-მამისა და ძისაო.
შეგილოცავ თვალისასა,
პირველ ჩემი თავისასა,
შინაურისასა, გარეულისასა,
თვალჭრელისასა, თვალშავისასა.
შენსა გამთვალავსა — თვალში ნაცარი,
გულში ლახვარი,
ბანიდან მეხი, კარიდან ცვცხლი.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის პირჯვარი
(ავადმყოფის სახელი)
ლოცვა ჩემი — რგება ღვთისა.

* * *

Წითელი ძროხა მეყიდა,
შოუჯდა წითელი ქარი,
მოწველა უხელოო,
ჩამკვეთა უმკვეთოთ;
ისევ გაქარდა შენი
ავი თუალით შემომხედავი.

თვალში ლახვარი,
გულში ბოძალი,
ჰაი და ჰუი.
სარი, ერთი შუჭა ტუტა-ნაცარი,
ლეფსი-მახათი მოხთა
მის გამოსახედ თვალებში.

* * *

შაგილოცავ თვალისასა,
მთისასა და ბარისასა,
კაცისა, დედაკაცისასა,
დიდისას, ბატარაისასა,
შავგვრემანის, წითურისასა,
თვალჭრელისა, თვალშავიანისასა.
ახალ სახელო ღვთისაო,
სახელითა და ღვთითაო.
იჯდა დედა მარიამი
ოქროს სკამსაო,
ქსოვდა ქსელსაო ძოწეულისასაო,
იშლიდა თმასა ბროწეულისასაო.
ჩამაიარა ქეთერეშალმა,
დანატრა დიდი სანატრელითაო;
ჩამეეშალნა ქსელნი ძოწეულისანი,
თმანი ბროწეულისანი.
ეღგა მინა ჭიქისა,
შიგ ედგა წყალი ვარდისა.

—ნუ გეშინია, დედა მარიან...,
ჩაუშრიტე უშრეტელიო.
სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა
და შაბათობითაო.
გაგეშარეებაო ქსელი ძოწეულისანი,
თმანი ბროწეულისანი,
წყალი ვარდისანი.
ჩაჯდა შავი შავსაო,
გავიდა შავსა ზღვასაო,
ერთი თოლი წყლისა ჰქონდაო,
მეორე ცეცხლისა.
გასკდა წყლისაო,
გადმეესხა ცეცხლისასაო.
გეყლო თეთრი კლდე,
თან გამოჰყვა თეთრი ქალიო.
თეთრმა ქალმა ქადა სჭამაო,
აჭამა ავთვალთა, ავგულთა,
გულფრიალოთა.
დასწყეველოს სამას საძოცდახუთმა
გიორგიმაო, რომელმა
შეხედოს ავი თვალითაო,
ავის გულითაო.
თოლი ეკალს მოუხვდეს,
გული საშარეებელსაო.
ცულის პირით მოჭრილი ხე
ცულისამ ტარად დაეგებაო.
შვილსა დედის ნალოცავითა

წამლადამც გადეეცემაო.

* * *

დაჯდა დედა მარიამიო,
ყდანი დადგა ალისანიო,
სუფრა აბრეშუმისაო.
ჩამაეცალა დედა მარიამი
ყდებსა ალისასა,
სუფრას აბრეშუმისასა.
გაუტყდა კოკა ჭიქისაო,
ჩამოეშალა თმანი ბროწეულისაო.
დაჯდა დედა მარიამი, ტირისო.
გავიხედე და მოდიოდაო
შავ ზღვაში შავი ცხენიო,
შავი მოსართველიო.
შავი კაცი ზედა ზისო.
—ჰოი-და... და...-მითხრაო:
ნუ სტირი დედა მარიამოო.
ამოიღო შავი დანა, შავტარიანიო.
დაწყეველა იმითო,
ქრისტე ღმერთითაო,
მიქელ-გაბრიელითაო.

* * *

Სახელითა ხთითა,
ძამითა, ძითა,
სულითა წმინდითა.
ლოცვა თვალისა,
თვალცემელისა.
ზეციდან მობრძანდებიან
სამი ანგელოზები ხვთისანი,
ხელსა ეჭირა სამი ფიქალი ქვისანი,
ზეთა ეწვრა სამი სიტყვანი ხვთისანი.
ხოლო ბაბილოსანი.
ქვეშ გაჯალი უწვა,
ერთი თვალი ედგა წყლისანი,
და მეორე ცეცხლისანი.
გასკდა თვალი, ესხურა ცეცხლს.
დეიფსო ცეცხლი, დაშრა წყალი.
ისემცა ამის თვალყაესა
ვაი და ეუი, ქვაი და რკუი.
გულთან ლახვარი, თვალთან ნაცარი.
დიეძართა გადუცდელი პაპასკირი,
დაჰკრა თავი ქვასაზე,
ესაგველის ფხასაზე.
მუცელი სამართებელზე.
მე ვარ მლოცავი,
ღმერთი მარგებელი.

* * *

სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა, ამინ.
აწ უკვე ქვა იყო ხენეში,
ქვას ქვეშე გელი იჯდა ჯირკველი,
ცალი თვალი ჰქონდა წყლისა,
ცალი — ცეცხლისა.
გასკდა წყლისა,
გადაესხა ცეცხლისასა,
დაშრტა.
დაშრტეს თვალი მთვალავისა,
გული მზაკვარისა და მავნებელისა!
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი!

ნახშირს აიღებს მარჯვენა ხელით მოქმელი და თან ჯვარს სწერს თვალსაცემსა ამ ნახშირითა. ბოლოს ამავ ნახშირს ხელზე მოიცხობს და შუბლზე ან სახეზე ჯვარს გამოსახას. ერთჯერობით უნდა, მაგრამ ლოცვის კითხვა სამჯერ ერთად უნდა.

* * *

(ბანჩხურას შეულოცავენ შვიდჯერ შვიდ კვირასა და მორჩება.)

ვაგილოცამ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა,
გარეულისასა, შინაურისასა;
ტანთმცირისა, ტანთმაღლისასა;

შავგრემანისასა, თეორყირმიზისასა.
სახელი სახელისა ხვთისათა.
შენს გამთვალავს თვალში ნაცარი,
გულში ლახვარი.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი ჯვარი!

* * *

ურიებს სამხთო ჰქონდათ.
ბურთაობდნენ, ნადირობდნენ,
ბურთი თვალში ჩაუვარდათ.
თვალი სიხლათ გადექცა.
ჩამაიარა წმინდა გიორგიმ,
უთხრა დედა მარიამსა:
გადადი ჩემ ბაღში,
მოგლიჯე სამი სამკაული,
წაუსე-წამოუსვი,
ის არის მაგის წამალი.

* * *

ავიდგი ქსელი მანავისა,
რუილა მბრიოლისა!
ლაფათინი იაგუნდისა,
ჩამოსაბმელი წმინდა გიორგის სკვანტისა.

გამოიარა ურია ქეთარმა,
გასტეხა რუილა მბრიოლისა,
ჩამოსაბმელი წმინდა გიორგის სკვანტისა.
გასკდა წითელი კლდე,
გამოვიდა წითელი კაცი,
გამოჰყვა წითელი ტანისამოსი,
გამოჰყვა წითელი ცხენი,
წითელ ლაგამ-უნაგირი.
დაადგა წითელს ცხენსა,
ჩევიდა წითელს წყალსა.
ჩაჰკრა ფურჩხი,
ამოიღო წითელი გველი.
ამოჰყვა წითელი რცმელი,
გადააკრა ლიპის ქვაზედ.
ისეცა დნება, ისეცა ჭკნება
თქვენი ავი თვალით შემომხედავი.
თვალთა ნაცარი, გულთა ღადარი,
მუცელსა საპარტებელი!
ასი მუჭი ნეფსი და შახათი გულში ახალე.
ასი გულა ნაცარი თვალში აყრია.
ჩააგდე ზღვაშია,
ნულა ამოუშვებ გზაშია
თქვენს ავ თვალზედ შემოჰხედავს.

* * *

ᲐᲜᲔᲘᲡᲐ, ᲛᲐᲜᲔᲘᲡᲐ,

შინ და გარეთ ღამეისა,
უნცროსისა და უმფროსისა,
გლეხის და აზნაურისა,
შემომსვლელისა, შამოსულისა!
აგერ მოკა შავი წყალი,
მან მოყვება შავი გველი.
ჩაუყავი შავი ფორჩხი,
ამოყეა შავი გველი.
დაეაჭირე შავი დაშნა,
გავადინე შავი წვენი,
ამოვცხე ოვალებში.
გულშია გრძნეულსა
შეხი და მეწყერი ძოხვეთა!
არ მოარჩენს დედა ღვთისა
ავს და ავი სულიერსა...

* * *

სახელო, სახელითა ღვთისაითა,
სულითა წმიდითა.
ურია და ქრისტე ღმერთი
მოედანზე მუშაობდნენ.
ბურთი ახტა, თვალში ეცა,
თვალი სისხლათ გადეკცა.
უბრძანა დედა მარიამ:
—გადახტი ჩემსა ღობესა,
მოსწყვიტე სამი სამეური,



მოუსვი თვალზედა, არგებს.
დედა მარიამი სამოთხის კარზე დატირის.
ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა
და ხკითხა:
—რაი გატირებს, დედავ მარიამ?
—ის მატირებს, ქრისტე ღმერთო,
ჩამაიარეს ქეთერიშვილთა,
ქუთურუშელთა, თოლინჯველიანთა,
თავბალნიანთა, კუდბალნიანთა,
დამწყიეს, დამთვრიეილეს.
ტანი დამიძრეს ალვისა,
თმა ჩამამაყრევინეს ბროწეულისა,
ქსელი დამიწყვიტეს ძოწეულისა,
ოქროს კოკა გამიტეხეს,
ვარდის წყალი დამიღვარეს.
—მაგისთვის რაი გატირებსო?!
სამჯერ სამს დილაზე,
სამი უშრეტი, სამი უსმელი
დერეფანს გადგი.
ტანი ადგება, ტანი ალვისა;
თმა გამოგესხმის ბროწეულისა,
ქსელი გაგემართება ძოწეულისა,
ოქროს წყალი გიდგება,
ვარდის წყალი ჩაგიდგება.
გასქდა უპირული კლდე,
გამოვიდა შაკი წყალი,
თან გამოჰყვა გველი შაკი,

ჩაყო მიქელ-გაბრიელმა
შავტარიანი დანა.
ამოიღო გული შაეი,
შავს ღობესა გარდააკიდა.
მოხეჭრა თავიდან –
თავი მოეღას შენს შამთოლავსა!
მოსჭრა წელიდა ნ –
წელი მოეღას შენს შამთოლავსა!
მოსჭრა კუდიდან –
გააქრას და გაანიავას
წმინდა გიორგიმ ინღოეთისმაო
შენი სნება და სნეულება.

შელოცვის შემდეგ სამს ღილაზედ: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს დერეფანში დასდგამს ლიტრით უსმელს ღილის წყალს ძიიტანს და შიგ სამას წვეტიან ეკლებს ჩაჭერის და ამითა თავდება. შავტარა დანიი ჯვარსა სწერს შეთვლილს.

* * *

სამჯერ სახელო ღვთისაო.
ჩვენ ვიყენით სამნი ძმანი –
მაიე, მარკოზ და იეანე.
მთას წაეედით სანადიროთ,
კვალი ვერ ვიპოვნეთ ნადირისა.
კვალ ვიპვნეთ ქალისა.
ქალსა ქაჯაეთისასა

მაკე დაეუდგათ, შიგა გავაბათ.
თოლნი ჰქონდეს ცეცხლისანი,
თმანი ჰქონდეს ალისანი,
ფეკნი უკულმართის ჭიქისანი.
არიქაო, ხოლო მზეო,
დასთხარენ თოლნი ცეცხლისანი,
დასჭერ თმანი ალისანი,
დასტეკენ ფეკნი უკულმართი ჭიქისანი.
ნურა ნურცერთს ნუ მიზამთო.
ორნი ვარ ორბქეშ გაზრდილიო.
მიმავალს ვეცემიო,
მომავალს ვეცემიო.
ქალსად ფეროვანი – ფერსა წამართმევსო,
ფერსა ძალოვანსა – ძალსა წავართმეეო,
ფურს მეწველსაო ძუძუს დაეუკორძებო.
თუ იმასაც არა ვიქ,
ჩაუკდები ქრისტეს დედა მარიამსა,
თმა ასხია ბროწეულისაო,
ქსელი უდგას ძოწეულისაო,
ჭურჭელი უდგას ოქროსიო,
შიგ წყალი უდგას ეარდისაო!
ჩამაუარა ქუჯმა ურიამა,
დასწყევლა, დასთრთვილაო.
ტან დეეძრა ალვისაო,
თმა გასცვივდა ბროწეულისაო.
ქსელ დაეწყდა მოწყობილისაო,
ჭურჭელ წეექცა ოქროსიო,

წყალ დეკლევარა ვარდისაო.
ბრძანდება ქრისტეს დედა მარიამ
სამოთხის კარსაო, ჩიკისო, ტირისო.
ქრისტე ღმერთი მობრძანდაო.
—დედა მარიამ, რა გატირებსო?
მაგის წამალი აღვიღლიაო.
საძს ჩუოშაბაოსაო, სამს შაბათსო,
საჴ ორშაბაისაო
სამი უმტრელი ამაიღეო,
საძი უშრეტი ჩაუშვი,
საძს ლილაზე გალაისხიო.
ტანი აგიდგება ალვისაო,
თძა გაგესსძის ბროწეულისაო,
ქსელ ავიდგება ძოწეულისაო,
ჭირჭელი დაგიდგება ოქროსაო,
შიგ წყალი ჩაგიდგება ვარდისაო.
გასქდაო პირელი კლდეო,
გამოვიდა წყალი შავეო,
მას გამოყვა გველი შავეო.
მივიდა მიქელ-გაბრიელ,
ჩაყო დანა ტარი შავეო,
ამოიღო გველი შავეო,
გარდაჭკიდა ღობე შავსაო,
თავიც ჰასჭრაო.
ვინცაო შენ ავის თვალითა შამოგხედაო,
ვინც შენ ავის გულითა ან გნახაო,
ან გაწყინაო,

იმის თვალსა ეკალიო;
ნარსა და ეკალს ეცხოს იმისი თვალიო.
გულს ლახვარიო, ბანით მეხიო,
კარით ცეცხლიო.
წმინდა გრიგოლმა ინდოეთისამა
გააქროს იმის თვალ-გულიო.
პირი ჩემი —
სახელი ღვთისა
ყველას წმინდის დედუფლისაო.
ასე გერგოს ჩემი ლოცვაო,
როგორც დედის ძუძუ შვილსაო!
გერგოს ჩემი ლოცვაო,
როგორც ფურის ძუძუ ხბოსო.
ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარიო.
როგორც ცული გასჭრის ხესა,
ღმერთო, წამლად არგე ჩემი ლოცვაო.
პირი ჩემი ლაპარაკობს, სახელი ღვთისაო,
მოგონებული ყველა წმიდის დედუფლისაო.

* * *

ესამჯერ სახელო ღვთისაო.
ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი —
მათე, მარკოზ და ივანე.
წავედით სანადიროთა,
ვერ ვპოვნეთ კვალი ნადირისა,
კვალი ვიპოვნეთ ქალისა,

ქალისა ქალაჯისა.
მოდიო, დედავ მარიამ,
მხოლოდ თვალები დაეთხაროთ ცეცხლისა,
თმა დავსჭრათ ალისა,
წვიეები დავამტვრიათ უკულმართის ჭიქისა.
—ვერც თვალებს დამთხრით ცეცხლისასა,
ვერც თმას მამჭრით ალისასა,
ვერც წვიეებს დამიმტვრეეთ უკულმართის ჭიქისასა.
მიმავალს ვეცემი, მომავალს ვეცემი,
ფეროვანს ქალსა ფერსა წავართომ.
ჯარსა მოძალუმესა ძალსა წავართომ,
ფურსა მეწველსა ცურს დაუკორძებ.
თუ იმასაც ვერა ვიქ,
ქრისტეს დედა მარიამ
ზის სამოთხის კარზე,
ტანი აქუს ალვისა,
თმა ასხია ბროწეულისა,
ქსელი უდგას ძოწეულისა.
ტანს დაუძრავ ალვისასა,
თმას ჩამოვაფარცხვინებ ბროწეულისას,
ქსელს დაუწყვიტ ძოწეულისასა.
ოქროს კოკა აქუს,
შიგ ვარდის წყალი უდგას —
ოქროს კოკას გაუტეხ,
ვარდის წყალს დაუღვრი.

* * *

ეგვილოცავ თვალისასა,
უწინ ჩემი თავისასა,
შინაურისასა, გარეულისასა,
თვალშავისასა, თვალჭრელისასა,
კაცისასა, ქალისასა.
შენსა თვალსა თვალავი
გულთა ლახვარი,
თვალში წყალი,
კონა ნემსი,
ნემს-მახათი იმის თვალებს;
ბანით მუხი, კარით ცეცხლი!
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი!

* * *

(ხელში შაგტარიანი დანა უნდა დაიჭიროს
და სამჯერ ესე ოქვას:)

ესახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.
შაგილოცავ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა,
შინაურისასა, გარეულისასა,
იდურისასა, ბიდურისასა, შაგგრეშანისასა,
ქერა კაცისასა, ქერა დედაკაცისასა,
ტანად მაღლისასა, ტანად დაბლისასა,

შვიდი ქერიეი კაცისასა,
შვიდი ქერიეი დედაკაცისასა,
ნიავსა ქარისა ცხენისასა, ნიავქრის დედაკაცისასა,
შენსა ავად მთვალავსა, შენსა ავად მყბარავსა,
ბანიდგან ცეცხლი, კარიდან ნავთი,
ცულის პირას გოხასერი, ცულს დაეგება ტარია,
ჩემი პირის შენალოცი შენ დაგეღება წამლათა.
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

* * *

სახელო სახელითა,
შაგილოცავ თვალისასა,
შინაურისასა და გარეულისას,
შავთვალა და ჭროღა თვალას,
შენ ავათ შემამხედავსა
ბანიდან ცეცხლი, ბანიდამ მეხი!
ერთი ვერცხლის ტბა იყო,
შიგ ვერცხლის ალვის ხე იდგა.
ზედ ვერცხლის ტაბაკი იდვა,
ზედ სამი კვერცხი იდო:
შავი, წითელი, თეთრი.
შავმა შავი წაიღო,
წითელმა წითელი,
თეთრმა თეთრი.
ღმეთრო, შენ მაარჩინე
(სახელი), ამინ!

* * *

სახელითა მამისა და ძისა
და წმიდისა სულისა!
იდვა ქვასა აჯერკვალი,
ჯერკვალის ქვეშე ვნახე შავი ასპიტი ერთი.
ადგა თვალი წყლისა და
ეროი ცეცხლისა.
გასკვდა წყლისა, გარდაესხა,
დაშარტა ცეცხლი,
იგიც დაშრეტა შენის ავი თვალით შემომხედავი.
(სახელი) თვალითუ მთვალავსა,
თვალთ ნაცარი, გულთ ლახვარი მას,
ვისაც თვალი შენ გეცეს და ან ვცემოდეს.
ჭ ქიდაო გიორგი, უშველე და
გაყარე ყოვლის უკეთურის შემთხვევისაგან.

* * *

(ამთქნარებს ძალიან. ნახშირი და
შავტარიანი დანა უჭირავს და ჯვარს სწერს.)

სახელითა მღთისათა, მამითა, ძისათა.
შეგილოცამ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა,
შინაურისასა, გარეულისასა,
ამ მილეთისასა, გარეულისასა,
ამ მილეთისასა, სხვა მილეთისასა,

ფრანგისასა, ხოსნისასა,
ურიისასა, თათრისასა,
ტანაო ძაღლისასა, ტანაო ღაბლისასა,
შავგრემანისასა, თეთრგვრემანისასა,
ყმაწვილისასა, მოხუცებულისასა;
გასათხოვრისასა, გათხოვილისასა, ქვრივისასა.
ღელქალწული მარიამ იჯდა წყლის პირას.
სტაროდა, ყრიდა მდულარე ცრემლებსა.
ჩამოიარა იესო ნაზარეველმა, კითხა:
– რათ სტირი, ღელაო მარიამ?
– რავა რას ვტირი.
რავა რას ვკივი (წუწუნი),
გარ შეწუხებული ავის თვალისაგან.
ჩამოიარა ურია ქეთელმა,
ღამსთვალა, დამსჭვალა.
მოსჭრა სამი ფიცარი –
დაასო სამი სიტყვანი.
გადაგდო ზღვაში.
(დანით მოჭრის ნახშირს, შეუბერავს)
ასემც გაქარებულა შენი
ავი თვალით შემოჰხედავი.

(სამჯერ იტყვის, შეუბერავს და ნახშირს მოატარებს შუბლზე. ღამე თავქვეშ ამოუდებს შემლოცველი ნახშირსა და დანას.)...

* * *

ეე გილოცავ თვალისასა,
შინისასა, გარისასა,
თვალშავისა, თვალთეთრისა,
თვალშანჩხისა, თვალბორბოჭისა;
გასკდა შავი კლდე,
გამეეთდა შავი კაცი,
შავი ცხენით, შავი შეკაზმულობით,
ჩუეიდა შაესა ზღვასა,
ჩაჰკრა შავი ფოცხი,
ამეილო შავი გველი,
დადვა ქვასა მკალისასა,
ეგრეც კვდება, ეგრეცა ცვდება
შენი ავთვალით შემომხედველი.
თვალთა ნაცარი ავრია,
გულთა ისარი ასეია,
გველი ფხა და გველი მართეილი
მის ტანს არ მოშორებია.
მის თვალსა და გულსა ასალა-მასალა,
შავი ჭირა და სანსალა!
დასწყევლოს ხაშას სამოცდათხუთმა
წმინდა გიორგიმ
შენი გამთვალუმავი და
შენი ავის თვალით შემოშხედველი.

* * *

Სახელითა მამისათა...
შეგილოცავ თვალისასა, ყბისასა,
შინაურისასა, გარეულისასა,
გოგოსასა, ბიჭისასა,
თვალშავისასა, თვალშანიხისასა,
ფეროვანისასა, ფერნაცვალისასა,
დიაცისასა, მამაცისასა;
შენს მთვალავთა –
თვალია ეკალი, გულთა ლახვარი,
ერდოთ ცეცხლი, კართა მეხი!
შენი ავის თვალით შემომხედავს
ასი კოდი მახათი,
მისი გულის სახლართი.
დასწერე, ღმერთო, ჯვარი შენი,
არგე ლოცვა ჩემი!

* * *

Ორჯერ სახელი სამ ღმერთის, ამინ მამინსა.
შაკი ვლდე გასკდა, დედაო მარიამ და ბატონო,
რასა ტირი და რასა შერები?
– ამასა ვტირ და ამასა ვშერები,
ხუოშაბათს მოვიდა ურია ქეთარა შვილი
შემეჯამა, შემთვალა.
– ფუ, შე მამაძალლო'ურია ქეთარასშვილო,

რასა სჭამ, რასა შვრები ან რასა სტეხ?
—ამას ვჭამ, ამასა ვტეხ,
ლამაზ ქალს ფერს ვართმევ,
დიდ კაცსა ღონეს ვართმევ,
სასიამოვნო ძროხას რძეს ანუ ნაწველს ვართმევ,
ულაყ ცხენს ღონეს წავართმევ.
—ტფუ, შე მამაძაღლო ურია ქეთარიშვილო!
ცხენის ფეხის ნადგამზე მოძრული ხარ,
ორბის ფრთებზე გაზრდილი ხარ,
ცხენის ფაფარზე შეგსვამ,
გარონინებ ქალაქ-ქალაქ.
ათ გუდა ნაცარს ვიშოვნი,
ათ გუდა მახათს ვიშოვნი,
ნაცარს თვალებში შეგაყრი,
მახათს გულში გაგიყრი.

ამას წმინდა გიორგი ეუბნებაო. შავი კლდე გასკდა, ვითომ მარიამი რომ იყო მწუხრებაში, წმინდა გიორგი შავ კლდეში იყო და გადმოხტა, დაუწყო ლაპარაკი ქაჯიშვილს:

თვალში ნაცარს შეგაყრი,
გულში მახათს შეგასვამ.

ამა და ამ სიტყვებს რომ ეუბნება, ვითომ ეს წმინდა გიორგი არის, როგორც ხსნიან, როდესაც მარიამს უწუხებდა ურია ქეთარაშვილი, მაშინ შავი კლდიდან გადმოხტაო და ურიას კიცხავსო.

* * *

წითელი გაშლილ ბოლო, ბაღმბალეის ბოლო მოსვრა უნდა პირველ მაისს, ამისთანა ალეგალურ. რომ მაშლის ყვავილი არ მოისმაბ. ბალიეები გაშლილა და მბალისა ლაფუნკე, ტახის კბილი, წითელი ლორის ფიჯაი, წესის ანაგები ხანიელი, საკმეველი წესის ანაგები გამოხვეე ხანთელში. ეს არის ნათალეევის წამალი. ფულეის ფეხი. ხხვადასხვა გვარის ოორმეტი კომლის ძალის და კატის ბალანი. ამ წამლების შემზადების ლროს ლოცვა:

Lახელისა მლეთისა, მაბისა, ძისა,
ხულისა წმინდისა.
ლოცვა ნათალეევისა,
მიმავალისა - მომავალისა,
შინაურისა, გარეულისა,
ქალის იყოს თუ კაცისა,
იეთრისა თუ ფერვანისა.
მაგისა შავგრემანისა,
რომელმან ავი თვალით შეხედოს,
თვალით მაწყენარს თვალი დაუდგეს.
ავი გულისასა გული ჩააგდებიე.
ეგერ მიეა წითელი ყალი,
მას მოყავს წითელი ცხენი,
წითელი უნაგირით გაწყობილი,
ლრმნეულმა და მაწყენარმა
ვკპილოთ შეკამა და
უნდულროთ მოხარშა.

აი, წმინდაო გიორგი,
შენი გაჩენილია.
არგე ლოცვა ჩემი,
ბრძანება შენი.

* * *

ს ახელისა ღვთისა, ძალისა, ძისა,
სახელისა წმინდისა.
მე გილოცამ და ვერგება
ბრძანებითა ღვთისა.
ულოცამ ყოველი ნათელავისა,
გაბაკულისა, შინაურისა, გარეულისა,
სტუმრისა, მახჭინძლისა,
რეგვნისა, ბრძენისა,
ოქაშვისა, ოქაჭრელისა,
აზნაურისა, გლეხისა, თავადისა.
მოიღოდა შავი წყალი,
მას მოქონებია შავი გველი.
ჩაიყვე ყავარჯენი,
ამოვიღე შავი გველი,
მოვკიდე ბარდისა ეკალსა.
იგი ღრეობდა და ჭკნებოდა.
გაქარდებოდა ამისა (სახელი)
ავით თვალით შემხედავი.
იჯდა დედა მარიამი კარსა ჩამოთხისა,
ქსოვდა ქსელსა ზეწრელისა.

მივიდა ქალი, ჩამოუგდო მხარი.
–რას ტირი, დედაო მარიამ,
რას სტირი, რას მოგიკუთებია?
–ვქსოვდი ჭრელსა ზეწეულსა.
–აღექი, დედაო მარიამ,
ნაკვერჩხალს წყალი გადაარე.
ცეცხლი დეიმსება, წყალი დეიქცევა,
ავ თვალიანს თვალი დეემსება,
ავ სულიანს სული ამოხდება,
ავ სულიანს გული ჩავარდება.
თვალსა ნაცარი, გულსა ლახვარი,
კუპრი ადულებული, ქვა გახურებული,
ასკილის კაკალი, გასტყდა და
მოხედა ღლიავში, გამოურბინა ყიაში.
დასწერე, ღმერთო, ჯვარი.
შენ არგე ლოცვა ჩემი,
ბრძანებითა შენითა.

* * *

Თვალო მეხო, მედგარო,
სისხლ მხვრეტელო, ფერიანის ფერწამღებო,
გონიანის გონწამღებო,
ქალუქმარის ქალისაო,
უცოლო ბიჭისაო.
რა გინდა ტანშიო, სტომაქშიო.
არ ისძევ, არ იქმევ,

არაზე გაისვლებიო.
თვალს წამწამიდან გამოგიყვან,
ქვირცინახის კუდით გამოგიყვან.
ვინ შემოგხედა აკი თვალითაო,
ვინ შემოგხედა აკი გულითაო.
თვალით ამოარდეს, გულით გადმოვარდეს.
ვინ არ დაგწეროს ჯვარიო,
ჯვარიმც ნუ ელირსებაო.
მოხნავ – გუთანის დამყენეო,
მოფქვავ – წისქვილის დამყენეო.
მოდიოდეს ცხრანი დანი,
ცხრანიე ოქროს კოწლიანი,
მოდიოდეს ცხრანიე ძმები,
ცხრანი ოქროს ქოჩრიანი,
ამოიღეს თეთრი კუსი (ხაჭო),
ცხრა ძმათ ცხრა ნაწილი
ცხრა რიგად გაიყვესო.
ქართ გაგაყოლებ მქროლართაო,
წყალს გაგაყოლებ მდინარსაო.
დაგკოშავ იგეოშიო,
არ გეყურებოდეს ყივილი ქათმისი,
არ გეყურებოდეს ჭყივილი ღორისი.
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისი,
ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი!

ტყვეის ნაჭერს აიღებს და ჯვარივით გააკეთებს. ამ ჯვარს მლოცავი სამჯერ შეულოცავს და აკლმყოფს გულზე ჩამოჰკიდებს.

ავთვალსაკრავი ხიმჯერ უნდა მივიდეს და შემლოცავმაც ამდენჯერვე უნდა გაიმეორის შელოცვა. მოელიანად ცხრა წყება უნდა შეელოცოს. ბავშვისათვის დღეს თმას შეელოცავენ, მერე შენალოც თმას წვრილად დაწნავენ და ბავშვს მაჯაზე შეაბამენ. ზოგჯერ, ბავშვს რომ ულოცავს, შემლოცავი ილებს ცხრა მუჭა წყალს მარცხენა ხელით და მასში ცხრა ნაბშირს გაურევს. ამ წყლით ავადმყოფ ბავშვს პირს მობანენ და აკვანსაც გადაასხამენ. ნაბშირს კი აკვნის საგოგავებით გაუშვენტენ. ავთვალსაკრავ ხაჭინელსაც ასე ულოცავენ და ნაბშირწყალსაც ზედ გადაასხამენ.



უქმურისა

დანას და ნახშირს აიღებს შემლოცველი, ნახშირით ჯვრებს დაახატავს ავადმყოფს და ნარჩენებს უბეში ჩაუყრის.

უქმური მოდიოდა
შუაღამის ბინდისასა,
მოიქნევდა ყავარჯენსა –
ტანგრძელსა და გიშლისასა.
დაუხვდა დედა მარიამი.
–სად მიდიხარ, უქმუროო?
– ბალღების საშინებლადა.
დედ-მამის სატირებლადა.
– ბალღებს ვინ გატირებინებს,
დაგცემენ შავტარა დანასა,
გადმოგადენენ შანასა.
ფუი, წმინდა გიორგიმ დაგწყეველოს!
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

* * *

ეს, ალაგი სპატესია, სპატეს ჯვარი ასვენია,
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ჯვარი ჰატიოსანი.
წმინდა გიორგი ცხოველი, ვარ იმისი ნათლული.
წმანდა გიორგიმ დასწყევლოს, ვერას გვაწყენს მაც-
დური.

პეტრე, პავლე და იაკობ საუფმუროთ მიდიოდნენ,
შაძხედე შაესა მოასა, საუფმურონი გალმოდიანო,
მოდიან, მოიტირიან, სად მიდიხარო, საუფმურონი?
ყმაწვილისა საწვალებლად, დედ-მამის საჭირებლათ,
ხიხლის სასმელათ, ძალების სახვრელათ,
ხორცის საღნობლათ! უშველე, წმინდავ გიორგი,
კვირაცხოველო, წმინდავ ესტატე, ასო-ასო კაფე,
უფმურსი ქვაბში ჩაყარე, შეუკეთე, დაწვი ცეცხლის
ალშია.

იქავ წავალთ, საუკუმროსა ხეს ეჭამთ, ხეს მოვეფარე-
ბით,

კლდესა ეჭამთ, კლდეს მოვეფარებიო,
არას ვერჩით თქვენის გვარისასა,
სამოცდასამის წმინდა გიორგის თავდებითა,
სამოცდასამის კვირაცხოველის თავდებითა,
წმიდის ესტატეს თავდებითა!
პეტრე ბანსა, პავლე კარსა,
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყლობის ჯვარი.

* * *

ᲫᲝᲘᲐᲡᲐ ᲒᲐᲔᲚ ᲒᲐᲚᲘᲚᲘᲐᲡᲐ,
ᲙᲕᲐᲚᲡᲐ ᲕᲣᲫᲔᲑ ᲜᲐᲓᲘᲠᲘᲡᲐᲡᲐ.
ᲙᲕᲐᲚᲘ ᲕᲔᲠᲐ ᲒᲠᲝᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲘᲡᲐ,
ᲒᲠᲝᲔ ᲣᲙᲔᲣᲠᲘᲡᲐ,
ᲛᲝᲬᲘᲝᲓᲐ ᲒᲕᲔᲚᲘᲕᲘᲗᲐ,
ᲫᲝᲭᲕᲘᲠᲝᲓᲐ ᲦᲝᲠᲘᲕᲘᲗᲐ.
ᲨᲔᲛᲝᲔᲧᲐᲠᲐ ᲛᲘᲥᲔᲚ-ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘ
ᲪᲮᲠᲐ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲡᲘᲗᲐ,
ᲜᲝᲔᲡ ᲙᲕᲔᲠᲗᲮᲘᲗᲐ,
ᲡᲝᲚᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘᲗᲐ.
— ᲡᲐᲓᲐ ᲛᲘᲮᲕᲐᲚ, ᲫᲒᲖᲐᲕᲠᲝ,
ᲙᲕᲐᲚᲐᲓ ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲝ?
— ᲛᲘᲕᲐᲚ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲗᲐᲜ
ᲢᲐᲜᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔᲚᲐᲗ,
ᲓᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲢᲘᲠᲚᲐᲘ,
ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲚᲔᲚᲐᲗ,
ᲫᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲢᲕᲠᲔᲕᲔᲚᲐᲗ,
ᲡᲘᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲐᲗ,
ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲐᲓ.
— ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲨᲐᲛᲐ, ᲫᲔᲛᲐ,
ᲡᲣᲚᲛᲐ ᲬᲛᲘᲓᲐᲛᲐ,
ᲐᲠᲪᲐ ᲐᲒᲐᲢᲘᲠᲔᲑᲘᲜᲝ ᲓᲔᲓᲐ,
ᲐᲠᲪᲐ ᲐᲒᲐᲢᲘᲠᲔᲑᲘᲜᲝ ᲛᲐᲛᲐ,
ᲐᲠᲪᲐ ᲒᲐᲛᲢᲕᲠᲔᲕᲘᲜᲝ ᲫᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ,

არცა გასვა ხისხლი მისი,
არც გაჭამო ხორცი მისი,
დაგიგებ ბალესა კანაფისასა,
ჩაგაგდებ ადგილსა უადგილოსა.
არცა გესმოდეს ძამლის ყივილი,
არცა გესმოდეს ძალლის ჯეფა,
აგიკრამ ალმასის ფიწალსა,
აგიკრამ ზენასა, გაგაქანებ ქვენასა.
გლოცამ მიქელ-გაბრიელ,
ღმერთი არის შენი შეშველი!

ეს ლოცვა უჟურის ციებასაც შეულოცე და მელოგინეს ყოველს საღამო ბებიამ შეულოცოს და ყმაწვილსაც არა დაეცემა რა.

* * *

Უჟური მოდიოდა
ჟამსა შუაღამისასა.
შეეფეყარა მიქელ-გაბრიელ
მოავარანგელოზი.
—სად მიხვალ, უჟურო?
—მივალ კაცისა ასოსა,
ზოგსა ვაცივებ,
ზოგსა ვაცხელებ,
ზოგსა ამოვიყვან სამარის კარსა.
— არა, მამამ, ძემ და სულმა წმინდამ,

არა შეგიშო კაცისა ასოსა,
ვერცა აციევებ, ვერცა აცხელებ,
ვერცა მიიყვან სამარის კარსა.
სადაც სახელი იხსენებოდეს,
ფუი! — ასე ქრებოდეს!

* * *

ეკეკლესიანი დანიოა და ნემსითა სამჯერ უნდა ესე სოქვას:

სახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.

დავწვები, დამეძინება, პირს ჯვარი დეშეწერება,

ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი ძარჯენივ მხრით დამესვენება,

ვერას მიზამს მაცდური. გწყალობდეს წმიდა გიორგი,

ჯვარი პატიოსანი, ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!





ფეფინებულისა

ძლოცაკს ხელში დანა და ნახშირი უჭირაკს, ულოცაკს ლა თან ნახშირით შუბლზე, ნიკაპზე ... ლოყებზე ჯვრებს უსვამს.

ახალ სახელო ხვთისაო,
დედ-მამისა და ძისაო.
შეგილოცავ შეშინებულისას.
რამ შაგაშინა?
თვალჭრელმა შეგაშინა?
თვალშავმა შეგაშინა?
ცხენის ჭიხვინმა შეგაშინა?
კატის კნავილმა შეგაშინა?
წყლის შხუილმა შეგაშინა?
რამაც შეგაშინა,
ისე იმან დაგარჩინა.
თეთრი ქორი ქანდარასა,
ქათამი საბუდარასა.
გულო, ჩადექ ალაგასა,

ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის პირჯვარი.
(სახელი) ეს ლოცვა ლოცვად გამოადგება,
როგორც ცულს თავის მოჭრილი ტარი,
ტარად გამოადგება.
ლოცვა ჩემი — დახმარება ღვთისა.

* * *

ᲔᲐᲠᲘᲐᲛ შეშინდაო, გული გადმოუვარდაო.
გულო, გულის ალაგასა, ჩაჯე ბუდის ალაგასა.
თეთრი ქორი ქანდარასა, ქათამი საბუდარასა.

* * *

ᲐᲮᲐᲚ სახელო ხთისაო,
სამჯერ სახე ვარ ხთისაო.
მე იანეს ნათლული ვარ,
ნათლიღებას შესწორებული,
მე ქრისტესა ვარ,
ქრისტე — ჩემიო.
ქრისტეს ხელით შებეჭდილი.
არძე-მარძე, პლუტო იანე,
ოთხი თავის სახარება.
სხედან მიქელ-გაბრიელი,
ბჭობენ, ხახადობენ.

მაიტათ, მოგორდით,
ბადე რვლისა, კლიტე რკინისა,
შაკრათ, შაბეჭდოთ
მოარული ღამისა,
მაწყინარი კაცისა.

* * *

ჯარვის პირს დგას ეკლესია.
წამალსა სჭრიან,
წამლის წამალსაო.
ქათამ საბუდარასაო.
გულ დაბრძანდი ადგილსაო.
ლოცვა ჩემი –
რგება ხვთისაო.

* * *

სახელო სახელისაო,
შამისათაო და ძისათაო
და სულისა წმიდისათაო.
რამ შეგაშინა?
დედამ შეგაშინა?
მამამ შეგაშინა?
ორფეხამ შეგაშინა?
შინაურმა შეგაშინა?

გარეულმა შეგაშინა?
ტანად დაბალმა შეგაშინა?
არაბმა ანგელოზმა შეგაშინა?
კარგმა ანგელოზმა შეგაშინა?
ცის იერმა შეგაშინა?
დედამიწამ შეგაშინა?
გამოდი!
გამოჰყე ჩემსა ლოცვასა!
არ გამოხვალ ნებითა?
გამოგიყვან ძალითა,
ღვოის შეწევნითა,
მარიამის მადლითა,
სოლომონის ბეჭდითა!
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი!
შენ გადაავლე
შენი წყალობის თვალი!

* * *

Ს ახელო სახელითაო,
მამითაო და ძითაო.
შეგილოცავ გულისასა,
გულო, რამ შეგაშინაო?
ქარის ბვივილმაუა?
ხარის ყვრილმაუა?
გველის წივილმაუა?

ოოფის ხმაპაუა?
რაპ შეგაშინაო?
რაპ სულიერმაო?
გულო, გულის ალაგასაო,
დადეგ თავის ალაგასაო!
ქორი შაჯდა ქანდარასაო,
ჩიტი თავის ალაგასაო!

მლოცველი იჭერს ცხირსახოცს, გამონასკვამს, გადაზომავენ ერთ მტკაველს და ერთ გოჯს, შიგ ნემსს გაუყრიან დასანიშნად. ასე მომზადებულ ცხვირსახოცს ჯერ შუბლზე მიადებენ, მერე ქამარზედ, მერე მარჯვენა მხარზედ, მერმე მარცხენაზედ, ჯვარს გამოსახავენ, ულოცავენ. ლოცვის მერე ხელსახოცს გაშლიან და გაჰზომენ. ხელსახოცი ერთი მტკაველი და ორი, ან სამი გოჯი გამოვა. ეტყვიან, აი, შვილო, ასე ძალიან გქონია გული გაფლოვარდნილიო. კიდევ ულოცავს, კიდევ გაზომავს. რამდენიც მომატებული მოვა ზომაში ცხირსახოცი, იმდენი უნდა ულოცოს. გაზომავს — ხელსახოცი იკლებს. კიდევ ულოცავს, თან ამთქნარებს. გაზომავს, ხელსახოცი თანდათან მოკლდება და როცა ერთი მტკაველი და ერთი გოჯი მოვა, მაშინ ეტყვის, ახლა გული თავის ბუდეში ჩავარდაო, აღარაფერი გინდაო. ზოგი შესალოცს ერთ აბაზს იღებს, ზოგი კიდე ეტყვის — წადი, შვილო, ჩემს სასულიეროდ გაჰატიებო.[1]

---

1 ეს შელოცვა ფშავში ნაუწერია იუდო რაზიკაშვილს.

* * *

სახელითა მამისათა და ძისათა წმიდისათა, ამინ.
დედამ შეგაშინა, მამამ შეგაშინა,
შინაურმა, გარეულმა,
თვალჭრელმა შეგაშინა,
თვალშავმა შეგაშინა,
ტანათ მაღალმა შეგაშინა,
ტანათ დაბალმა შეგაშინა,
კლდისა შეგეშინდა,
წყლისა შეგეშინდა;
სადილობასა შეგეშინდა,
საღამოს შეგეშინდა,
მამლის ყიულის შეგეშინდა –
გულო, მოდი საგულესა,
სულო, მოდი საგულესა.
ნურსად წახვალ სხვა-გულესა,
ნურცა სასულესა.
თეთრი ქორი ქანდარასა,
ქათამი საბუდარასა.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

შავტარა დანით პირგაშლილით ჯვარი უნდა სწეროს შეშინებულს. დანას თაექვეშ დაუდებენ. ესეც საჯერ ერთმანეთსა ერთ

ჯერობით.

* * *

ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე
ცხრაკლიტენი რკინისა;
შაკარ, შაბოჭე პირი მგლისა!
ჩვენსას ერიდებოდეს,
სხვისას ემტერებოდეს.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

* * *

შავტარიანი დანა, ნემსი, ხელში უნდა დაიჭიროს და სამჯერ ესე თქვას:

სახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდისა.
სარლმა შაგაშინა თუ სახლის ანგელოზმაო,
დედამ შაგაშინაო თუ მამამ შაგაშინაო,
ცეცხლმა შაგაშინაო თუ ცეცხლის ანგელოზმაო,
ჭერმა შაგაშინაო თუ ჭერის აგელოზმაო,
ცამა შაგაშინაო თუ ცის ანგელოზმაო,
მზემ შაგაშინა თუ მზის ანგელოზმა შაგაშინაო,
მთვარემ შაგაშინა თუ მთვარის ანგელოზმა შაგაშინაო,

კაცმა შაგაშინა თუ ლელაკაცმა შაგაშინაო,
ლიდმა შაგაშინა თუ პატარამ წაგაშინაო,
კამეჩმა შაგაშინა თუ ხარმა შაგაშინაო,
ლორმა შაგაშინა თუ ცხენმა შაგაშინაო,
ძაღლმა შაგაშინა თუ კატამ შაგაშინაო,
მფრინველმა შაგაშინა თუ ჭიამ შაგაშინაო,
ანრმა შაგაშინა თუ ფიქრმა შაგაშინაო.
თეთრი ქორი ქანდარასა ... ქალამი საბუდარასა.
გულო, ჩაჯექ შესს ალაგსა, გულო, ნუ შეშინდები.
ღმერთო, დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

* * *

Ს ახელისა ღვთისათა, მამისა, ძისათა,
და სულისა წმიდისათა.
ლედამ შეგაშინა,
მამამ შეგაშინა,
ძაღლმა შეგაშინა,
ლორმა შეგაშინა,
ძილში შეგეშინდა,
ფხიზლობაში შეგეშინდა,
მაინც შეშინებული ხარ.
გულო, მოდი საგულეში!
თეთრი ქორი ქანდარასა,
შენი გული აქანასა.
ღმერთო, დასწერე ჯვარი შენი,
მოუხდინე ლოცვა ჩემი!

* * *

გაზომავს სარტყელს, რომ არ დააკლდეს. პირჯვარს სწერს შეშინებულს.

სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა, ამინ.
შეგილოცავ შეშინებულისასა.
რა იყო, რამ შეგაშინა,
სიზმარით შეგეშინდა,
ცხადივ შეგეშინდა,
კეთილი ანგელოზისაგან შეგეშინდა
თუ ბოროტი ანგელოზისაგან შეგეშინდა.
გამოვიღი ტყიდგან შავი კაცი,
შავი შეკაზმულობითა,
ძას გამოჰყვა მცურავი,
დაჰკრა მათრახი გულის ჯავრზედ!
გულო, ჩაჯექ ალაგასა!
გულო, ნუ გეშინიან!
გულო, დიდა გადგია,
ღეთიშიშა ლი გადგია,
ყველა წმიდა გაღგია.
ქორი შეჯდა ხესა,
ქაჩიამი ქანდარასა,

გულო, ჩაჯექ ალაგასა.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი
(ამას და ამას).

* * *

ურძნის ხის ნატეხს გახვრეტენ, შეულოცავენ და აღამიანსა თუ საქონელს ყელზე შეაბამენ. შეილოცავს ნახშირი და დანა ეჭირავს.

შეგილოცავ თვალისასა, გულისასა,
შინაურისასა, კარულისას,
უნაყროსას, ნანაყროსას.
შაგილოცავ კაცისასა, ღელაკაცისას,
დიდისას, ცოტაისას, მგზავრისას.
შაგილოცავ თმაშავისას, ოვალშავისას,
თვალსისვისას, თმაყვითელისას,
ფერმკრთალისას, ფერწითელისას.
შაგილოცავ ორშაბათისას, სამშაბათისას,
ოთხშაბათისას, ხუთშაბათისას,
პარასკევისასა, შაბათისას,
დიდ კვირაისას.
გაიხია შავი კლდე,
გამოვიდა შავი ცხენი,
შაჯდა შავი მხედარი,

ჩაუყენ შავს მტკვარს,
ამოხკრა მათრახის წვერი,
ამაიღა შავი გველი,
ჩადგა სინის ქვაბში,
ჩაუგზა ეკლის ცეცხლი,
ჩაწვა უფრის თვალისა,
უფრის გულისა,
თვალთა ნაცარი,
გულსა ლახვარი,
სიკვდილის ლუსმარი.
ვინ არ დაგწერა ჯვარი?
ვინ შამოგაგდო თვალი?
ნუ დეეწერა ჯვარი,
მიწად შაიღეს სულამაის დღეს,
ნუ აუყივლდას მამალი,
ნუ გაუვიდას გუთანი!
გაქრას მთის ქარიკითა,
გაიარას თოვლის წყალიკითა,
ჩაუვიდას საკმისას მეხი,
კარისას ცეცხლი!
დედაო ღვთისაო, მარიამო,
შენია ხსენება,
შენ დასწერე ჯვარი!
ისრემც მალ გეშველების,
ცულს რომ ტარი დეეგების,
ჩალას ცეცხლი დეენთების!
ბღავანს დედის რძე ერგების!

ჯვარი გვ"ერას!
ლოცვა ჩემი — რგება ღვთისა!



გულისა

ამას საჯერ შეულოცავენ. შელოცვის წინ ავალმყოფს მკერდს ბაწრით გაუზომავენ და შელოცვის შემდეგ, გაზომვისას ბაწარი. მეტი თუ აღმოჩნდა, მაშინ გული ამოკარდნილი ექნებაო.

ᲒᲣᲚᲝ, ოქროს ყუთისაო,
გულო, ჩაჯექ ალაგასაო.
ოქროს ბუდეში ნაჯდომო;
ავი ხმით შეგაშინა,
ავი საათით შეგაშინა.
ქორი ქანდარასაო,
ქათამი ბუდესაო.

თავის ტკივილისა

ქორი ქანდარასა,
ქორი ბუდესა,
ხარი ბაგასა
და ტკინო ალაგასაო.

ფრჩხილასი

(თვალში რომ ჯიჯლიბო გამოუვიდეს)

ფრჩხილა ლიბრად (იეთრად) თვალს გადაეკვრის, ადამიანს თვალი უსიელებადა ცრემლი სდის. შელოცვის დროს ხორბალის ცხრა მარცვალი სამჯერ უნდა დაითვალოს და იქვე მდგარ ჯამში ჩაიყაროს. თუ მას გუგმა დაუჯდა, სატკივარი მაშინ გამუდარია. შეულოცავენ ღლეში სამჯერ და ნალოც წყალს ავადმყოფს თვალებში ასხამენ.

ლოცვა უნდა ფრჩხილასა,
კიბორჩხალასა და ნალურსმალასა.
დედა მარიამ ღვთის მშობელო,
შენ დასწერე ჯვარიო. – არ არის მაგის წამალი?
ცხრა პურის მარცვალი,
ცხრაჯერ შელოცვაი.

* * *

სახელო სახელისაო,
მამისა, სულისა წმიდისაო.
ჩვენს ბასსუკან ზღვა არისო,
ზღვაში სიპის ქვა არისო,
სიპის ქვაში ხელეური,
ხელეურში თავთავიო,
თავთავში მარცვალიო;
მარცვალო, წყალში ჩაკარდიო!
ფრჩხილო, თვალიდან გამოეარდიო!
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარიო.

* * *

ჩვენს ბაღს უკან დიდი ტბა არის.
ტბაში კალოა,
კალოშია ურმეული,
ურმეულშია საძეული,
საძეულში ძნა არის,
ძნაში ხელეური,
ხელეურში თავთავი,
თავთავში შვიდი მარცვალი.
ისე ბრჩხილო, შენ გავარდი,
როგორც თავთავს პურის მარცვალი.
ღმერთო, შენ დასწერე

შენი წყალობის ჯვარი.

* * *

Სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა.
ზღვაში მორევი,
მორევში ურემი,
ურემში ძნა,
ძნაში თაეთაეი.
ფრჩხილო,
ისე შენ ჩაჭიდი,...
როგორც თაეთაეიდან მარცვალი.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი ჯვარი!

* * *

ჯამით წყალი უნდა დაიდგას, შვიდი პურის მარცვალი მაიტანოს, დაიჭიროს, შვიდჯერ შეულოცოს და თითო შელოცვაზე თითო მარცვალი ჯამში ჩააგდს.

Ჩვენს წინ საბძელია,
საბძელის წინ კალოა,
კალოში ანეულია,
ანეულში ძნა არის,

ძნაში ხელეურია,
ხელეურში თავთავია,
თავთავში — პურის მარცვალი.
წამოჯდა თეთრი ტრედი,
ჩამოყო ბროლის ნისკარტი,
ჩამოაგდო ვერცხლის მარცვალი.
ფრჩხილო, შენ ჩამოვარდები
ჩემი ლოცვით, ცხარე წამლით.
ღმერთო, შენ დასწერე წყალობის ჯვარი!

* * *

ბადიით, ანუ ჯამით წყალი დაიდგი წინ, დაიჭირე ხელში ხორბალი და შელოცვის დროს ჩააგდე წყალში თითო მარცვალი.

ჩვენს ბანს უკან ტბა არი,
ტბაში ანეულია,
ანეულში ათეულია,
ათეულში ოცეულია,
ოცეულში ძნაა,
ძნაში ხელეურია,
ხელეურში თავთავია,
თავთავში მარცვალია.
ჩამოვარდა მარცვალი,
თან ჩამოჰყვა ფრჩხილი.
თვალი დარჩა მშვიდობით.

თვალის ტკივილისა

ქალი ვიყავ ქანანელი,
თვალებითა წირპლიანი,
მუხლებითა ნისლიანი.
იგრე შენ ჩამოვარდები
ელვავ, ტეხავ, სიმსიენევ,
ფრჩხილო და ლურსმანავ,
როგორც წყალში მარცვალია.
ურია და ბურბუთულა
ორივ ერთად თამაშობდნენ.
ბურთი შეხტა, თვალში ეცა,
თვალი სისხლათ გადექცა.
რა არის ამის წამალი?
სამად სამი სიტყვა,
სამი შეაფურთხე, სამი შეაჟუთე.

* * *

Და დედა მარიამ სკამსა ოქროსასა,
ქსელსა ქსელამდა ძოწეულისასა,
მივიდა წამსნი ურვანი ყბათანი,
მივიდა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი
და განაქარვა ღვთის სახელითა.

* * *

Სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა, ამინ.
ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი,
სამებისა ძალისანი.
ვკრეფდით წამალსა,
წამლის წამალსა,
სიმსივნისასა, სიმტკივნისასა,
თეთრი სურავანდისასა,
წითელ სურავანდისასა,
ლიბრისასა, ლურსმანისასა, ფრჩხილისასა.
გამოდი, გამოჰყე ჩემსა ლოცვას!
თუ არ გამოხვალ ნებითა,
მე გამოგიყვან ძალითა.
დაგცემ შავ ტარას დანასა,
ბოლოსა ჭიპისასა,
აგაღებინებ ქვეყანასა,
დაგაღებინებ ზენასა.

* * *

ᲗᲑᲣᲠᲗᲐᲝᲑᲓᲘ, ᲕᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲓᲘ,
ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲑᲣᲠᲗᲘ თვალᲨᲘ მᲝᲛᲰᲕᲓᲐ.
რა ᲐᲠᲘᲡ მᲘᲡᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ?
ᲣᲮᲛᲐᲠᲘ ᲜᲔᲛᲡᲘ,
ᲐᲑᲠᲨᲣᲛᲘᲡ ᲫᲐᲤᲘ,
ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲪᲘᲚᲘ,
ᲭᲘᲡ ᲤᲠᲘᲡ ᲙᲐᲙᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲘ.

ᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ თვალᲘᲡ ᲬᲐᲛᲬᲐᲛᲨᲘ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲫᲐᲤᲘᲐᲜ ᲜᲔᲯᲘᲡᲘᲡ გᲐᲣᲤᲠᲘᲐᲜ. ᲐᲛ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲜᲐᲧᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ თვალᲖᲔ ᲓᲐᲐᲓᲔᲑᲔᲜ.

* * *

ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲓᲘ,
ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡᲐᲡᲐ, ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘᲡᲐᲡᲐ.
ᲐᲗᲕᲐᲚᲐ თვალᲘᲡ ᲛᲐᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲐᲡᲐ,
ᲕᲐᲘ ᲓᲐ ᲕᲣᲘ ᲙᲕᲐᲭᲐᲠᲐᲣᲚᲘ,
ᲐᲜᲡᲐᲚᲐ, ᲛᲐᲜᲡᲐᲚᲐ,
ᲒᲕᲔᲚᲘ ᲤᲮᲐᲡᲐᲜᲡᲐᲚᲐ.
ᲒᲐᲓᲛᲔᲘᲠᲚᲕᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲙᲚᲓᲔ,
ᲛᲐᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲧᲕᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲚᲘ.
ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲢᲧᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲡᲐ ᲡᲘᲪᲮᲐ ᲥᲕᲐᲡᲐ.
ᲘᲡ ᲕᲐᲡᲙᲓᲐ, ᲘᲡ ᲒᲐᲒᲯᲐ,
ᲘᲡᲗᲔ თვალᲘ ᲒᲝᲣᲒᲯᲐ,
ᲘᲡᲗᲔ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲝᲣᲡᲙᲓᲐ

მის ავის თვალით შეიხედავს.
თვალთა ნაცარი, გულში ლასვარი, .
მუცელსა სამართებელი!
ეცა წმიდი გორგის რისხვა,
ლასტი და ბოძალი.
იჯდა წმიდა დედა მარიამ
კარსა სამოთხისას.
ქსოვდა ქსელსა ძოწეულისასა,
ჩამეიარა ურია ქეთელმა,
შეთვალა, შეყვარა, შეაგირძნოულა.
წოუქცია ქსელი ძოწეულისანი,
წოუქცია სკამი მისი ოქროსანი,
დააყროვია თმანი გიშრისანი,
დააყროვია ცრემლნი მარგალიტისანი.
ჩამეიარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზმა.
კითხა, რას ტირი დედა მარიამ,
რად ჟდიხარ კარსა სამოთხისასა?
რავა რათ უჯდივარ,
ჩამეიარა ურია ქეთელმა, შემთვალა...
ადექი, დედაო მარიამ,
განადუღე ქვაბი რვალისანი,
გადაასხი მის თვალს, მის ყურს,
მის გულს, მის სულს, მის ხორცს,
ვინც (სახელი) ავი თვალით შეხედა.
იქით წყალი მიდიოდა,
აქეთ წყალი მოდიოდა,
შვაში ცეცხლი ინთებოდა,

ის წყალი მუუშვი — ის ცეცხლი დეიფსო,
ისთე თვალები დეეფსო
მის აკი თვალით შემხედავს, ფუი, ეშმაკსა.

ამ ლოცვის დროს დაიდგამენ წინ ჯამით წყალსა და ფხეკენ შავტარიანი დანით ნახშირს და ასუმენ გაღალულს, თვალნაცემს.

* * *

Თვალო, თვალო, ბედნიერო,
ვითამ რამე მშვენიერო,
სიმწრით მოსრულო და
სიტკბოებით წაბრძანებულო!

(სამჯერ ამ შელოცვის მერმეთ შაქარს დაადებენ მტკიეანზე კვახის ფურცლით.)

* * *

Ცამნი ძმანნი მოდიოდნენ
სამებისა კარსა,
კრეფდენ წამალსა,
წამლის წამალსა,
ფრჩხილისასა,
დაქეილობისასა,
ქარ-სურავანდისასა.
გამოდი, გამოჰყე ჩემსა ლოცვასა!



თუ არ გამოხვალ ნებითა,
მე გამოგიყვან ძალითა,
დაგცემ შავტარა დანასა,
აგაღებინებ ზენასა,
წაგაღებინებ ქვენასა.
ქალ ვიყავ ქანანელი,
თვალები წირპლიანი,
მუხლებით ნიტიანი,
ჩამოვარდა თავთავი,
ჩაიტანა ფრჩხილი და ლურსმანი.
ღმერთო, შენ არგე და აწამლე.

* * *

სახელითა მამისათა და წმინდისა სულისათა.
მარიამ სტიროდა, მარიამ ჩიოდა,
მარიამ ყრიდა მარგალიტისა კურცხალსა.
გამოხედა ქრისტე ღმერთმა.
— დედაო ჩემო, მარიამ,
რას სტირი, რას სჩიი,
რასა ყრი მარგალიტისა კურცალსა?
— ბატონო ქრისტე ღმერთო!
რავა არ ვტირი, რავა არ ვჩიი.
რავა რა ვყრი მარგალიტისა კურცხალსა!
ურიათა ქორწილია, ქრისტე შვილი წოულია.
თვალსა ბურთი მოხდენია და
რაა ამისი წამალი, არ ვიცი.

— ღვდავო ჩემო, მარიამ!
რასა ტირი, რასა ჩივი,
რასა ყრი მარგალიტსა კურცხალსა,
ჩადი ჩემსა ბალსა,
მოწყვიტე სამი სამყური,
დაუსვე კარის სახელი,
შეაბი სყლისა კანითა
და ის არის მისი წამალი.
მე მლოცველი და ქრისტე მარგებელი.

* * *

სახელი სახელითა, მამათა და
ძითა და წმინდითა სულითა!
ოქროს მაგიდაზედა ოქროს თასი იდვა,
ზეციდგან უცხო ფრინველი მოფრინავდა:
ერთი თეთრი, ერთი შავი და ერთი წითელი.
თეთრმა თეთრი აიღო,
წითელმა წითელი აიღო,
დარჩა შავი მშვიდობით.
ფუი, ასთე გააქარე
დაკრული ჩემ თვალზედ.

* * *

სახელითა მამისათა, ძითა, სულითა წმინდითა.

ოქროს მაგიდაზედა ოქროს თასი იდგა,
ზედა სამი ძენი იჯდა.
ზეციდგან სამი უხცო ფრინველი მოფრინავდა —
ერთი თეთრი, ერთი შავი, ერთი წითელი.
თეთრმა თეთრი აიღო, წითელმა — წითელი,
დარჩა შავი მშვიდობით!
ფუი, ასე გავაქარე ჩემ თვალის დაკრულ-დანანებული.

* * *

ივანესას მივდიოდი,
თვალში რაცხა ჩამივარდა,
ამოვისვი ხელიო,
თან ამომყვა გველიო.

სლოკინისა

Ია — მახსენებელსა,
ვარდი — მაგონებელსა.
შვიდი წლის ციებ-ცხელება,
ანთება და ხურვება
ჩემს ავად მახსენებელსა.
(სამჯერ).

ციებ-ცხელებისა

(მეგრულად)

ადამ, სკუაქ დემელალ,
ჟი მუკობ ქონი უჩა,
თუდო მეურს წყარი უჩა;
სერთ მუს გილაძღვარანქ?
ათე ჩქიმი ლეხის ჩეთხი
დო შხვალეხის შერყი.

(ქართულად)

ადამ, შეილი დამელალა.
– შაეი ქონი ჰკიდია ზეეით,
შაეი წყალი მიდის ქეეეით.
ღამით რას დაეხეტები?
დაეთხოვე ჩემს ავადმყოფს
და შეეყარე სხვას.

* * *

შენალოცი უნდა დაწეროს და მკლავზე შეიბას ავადმყოფმა.

Ѧბელ: ხალთა: დაბლა:
შუდეყ: ზირე: აიუდა:
შეს: ზალ: ხლამუნიდ:
გირახტარ: შაში: ამიძენ:
ბაბლი: ვაზდანაკ: კარგა:
გუის: თმა: საბიჰი:
ბარტე: წუმგეთ: მასნეს:



საყმაწვილოსი,
ანუ ყმაწვილი დაკუწული რო იყოს მუცელში

ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲥᲐᲜᲐᲜᲔᲚᲘ,
მოზუოდა ქარივითა,
მოჭიხვინებდა ცხენივითა.
გადუდგა დედა მარიამ.
— სად მიხვალ, ქალო ქანანელო?
— ვიყავ ზღვისა,
არ დიმიტია ზღვამა,
მივდივარ ასო-ტანშია
სისხლის სასმელად,
ხორცის საჭმელად,
დედა-მამის საწრუწუნებლადა.
-- რა არის მისი წაბალი?
— ლილა, ქალობანა, თახვის დუმა
ერთად გალესე დედის რძეში
და დაალევინე.

ალისა

(ალი ქალის აკადმყოფობაა მშობიარობის შემდეგ.)

ალი, ალი, ალისა,
იკრიკალი ქალისა.
საჩეჩელი ჭერსა.
კილტე სართიმაულსა.
ვაი, ალისა თავსა.
სამი ძმანი თაქტირიძე,
სამი ძმანი ლალსულიძე,
დგანან კარსა,
ჭრიან ნალსა,
ვაი, ალისა თავსა.
ადექ, ალო,
კარში გადი.
თუ არა,
მოგჭრიან თავსა.

ორსულისა

ეფურთისა ხელზედაო
დედას შვილი მოუვიდა.
შვილმა დედას უჟამობა კადრა.
ცა დადგა.
მიწა დადგა.
ყველა სულიერი დადგა.
ამ ქალის მუცელზედ
მის დღე-დაბადებამდინ
შვილი დამაგრდა.

ფეხმძიმე ქალისა

აგერ, მიღმა მინდორში
ზეთის ტპაი დგა,
დედა ხსნის და შვილი ხლართავს...
დედაო ღუთისაო,
ულხინე და უშველე ამის მჭამელსა.
(აძლევს ნალოც საჭმელს).

მაკე სულიერისა

ალი იძრა, ბანი იძრა,
დედისთვინ შვილს
ურჯუმი ეკადრებიოს.
(არ შეეშალოს მუცელიო).
დრომდი და ალომდი
არ გვიძრეს
ამის შუცელში
ე სურიელი.

მუცლის წახდენისა

სახელითა მამითა,
ძითა, სულითა წმინდითა.
გამოეხსენ ძაფივითა,
გაიშალე ლარივითა.

* * *

სახელითა მამითა.
ალ დადგა,
ბალ დადგა.
მთა დადგა.
კლდე დადგა.
წისქვილ დადგა.
ბორბალ დადგა.
(სახელი) შაქნილი ყმაწვილი
(სახელი) მუცელში რად არ დადგა!

* * *

Სახელითა მამისათა და
სულისა წმინდისათა, ამინ.
ადგა, დაიძრა მთა და ბარი,
აწვა ხისა ხინი,
მამამა სთხოვა შვილისა მიჯნურობა,
არ მისცა დედამა შვილისა მიჯნურობა.
მამამ შეჰკრა კიდობანი,
მიაბარა დედასა,
ეს შემინახე დრომდინა.
ღმეროო, შენ დასწერე
შენი ჯვარი.

* * *

Სახელითა მამისათა და
ძისათა წმინდისათა.
ანი იძრა,
ბანი იძრა,
მცა იძრა,
ქვეყანა იძრა,
ოთხი კუთხე მცისა იძრა,
ნოეს კიდობანი იძრა,
ოქროს საწნახელი იძრა,
წყალი იძრა,
წისქვილი იძრა,

მიწა იძრა.
ანი დადგა,
ბანი დადგა,
ცა დადგა,
ქვეყანა დადგა,
ოთხი კუთხე ცისა დადგა,
ნოეს კიდობანი დადგა,
იქროს საწნახელი დადგა,
წყალი დადგა,
წისქვილი დადგა,
ქვეყანა დადგა.
ზეცის კერის ხმა მესმა,
ანგელოზი ლოცვათ დადგა,
მოის მადლის მეოხებით
უძრავი იძრა,
ნაძრავი ემაწვილი
ამ ქალის მუცელში დაღგა.

* * *

(პურის ნატეხში ნემსი უნდა ჩაერჭოს და სამჯერ შეულოცოს.)

ასანის ტანზედა
დედა-შვილი მიდიოდნენ,
დედას შვილი მეეწია,
დედას არშიყობა სთხოვა.
ანი იძრა,

ბანი იძრა,
ცა იძრა,
ქვეყანა იძრა.
ანი დადგა,
ბანი დადგა,
ცა დადგა,
შენს მუცელში
შკილი დადგა.



შეწყენილისა

(ფეხმძიმობის დროს იხმარება, აჭარაში.)

მე გილოცავ შეწყენილსა.
ანი დადგა, მანი დადგა,
ხეი დადგა, მიწა დადგა.
ძრული დადგა, ქვიშათ აღგა.
ზღვაი დადგა, ნაგი დადგა.
ურძრაგი იძრება, ძრული დადგება
მის დრომდი, მის ვახტამდი,
რაც საშობი იყოს,
მის მუცელში დადგეს, გამაგრდეს.

ჯადო ვისაც აწუხებს

Აწი: ვარი: თავით: სპადუ:
შტრელი: ვერთა: ვატლი:
აუბი: კატოლი: ცრიცი:
რპოლი: ცრიც: ზაპური: სვა:
დაცვა: ჩამა: თიხა: ქეზეპლუ:
პერუ: აქლოუნი: მაწი:
შოშკა: ცეხლი: ყპეზენი: პაკლანიკო:

---

1 ამ სიტყვების შინაარსი მთქმელსაც არ ცოდნია.

დევისა და ქაჯისა

Ცახელითა ხეთისათა, შაჰისა და ძისათა
და სულისა წმინდისათა!
ელენიენთა: ლაიღე: შამათე:
ელენია: იაეი: ეგრამათე:
ვგრესემ: ოოხი: ერიეანე:
და: ითონა: ითსაეე:[1]
ამათითა საჩელითა შეიკრა ჰირი დევთა,
ქაჯთა და გველთა და ყოველთა საჩინოთა
და უჩინოთა მაგნებელთა.
იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო
ღვთისაო, ცხოველისაო!
იხსენი ყოველივე ჭირისაგან
და ყოველისა საეშმაკოსაგან
და ყოველისა ცრუსა, მაგნისა და საცთურისაგან
ცონა ესე ხეთისა!

სიყვითლისა

მოდიოდა ყვითელი წყალი,
მასშიდ იდგა ყვითელი ხე,
მასზე შეჯდა ყვითელი ჩიტი,
გეიკეთა ყვითელი ბუდე,
ჩადეა ყვითელი კვერცხები,
გამოჩეკა ყვითელი ბარტყები.
ყვითელო ხატო და ჯვარო,
შენ დეიფარე სიყვითლისაგან
ჩვენი ავადმყოფი, ამინ!

მომწვარისა

წითელი კაცი, წითელი ყანა.
წითელ თესლ ითესვდა.
ურწყვად შავი,
უფეერი ხარი ება.
ვის თქმია,
ვის გაუგონია
ქვა -- ხნული,
ქვიშა – თესული.
მომწვარი – გადანელებული.

დამწვრისა

წამალი: ღორის ქონი და ღორის ჩხინკელა. ქონი წაუსვი, ჩხინკელა წმინდათ დანაყე, გასცერი და ზედ დააყარე ან ინა დაადე წყალში გახსნილი, ან კიდეე ლავარძარღვა ბალახი წყალში დასველე და ისე დაადე.

სახელო სახელისათაო, ძისათაო
და სულისა წმიდისათაო!
მამის მამანო, პაპის პაპანო!
მათო გაკეთებულო ოქროს გუოანო!
ამოვა კოკობიეითა,
ჩამოვა ქერის ქატოსავითა.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ძალი, ამინ!

* * *

ელი ელობდა,

მელი მელობდა,
ზღვა ფოფინობდა.
წიფელ ხუცესსა
ხარი გაება,
ზღვას ხნებდა,
ქვიშას თესებდა.
ვინ მოიგონა
ზღვა ხნული,
ქვიშა ნათესი,
მესამე ღღეს იქით
დამწვარი, გაძნელებული!

* * *

(ნახშირი და ნემსი დაიჭიროს და იმით შეულოცოს სამჯერა.)

ვაცი იძახის ტყითაო,
ხარი მამგვარეთ ზღვითაო,
ზღვა უნდა ვხნა,
ქვიშა ვთესო!
ვის უნახავს ზღვა ხრული,
ქვიშა ნათესი,
დამწვარი – გაძნელებული.
ვის უნახავს დამწვარი
თავქვეწასული,
მაღლა უნდა წამოვიღეს.
მე გლცამ, ღმერთი ჯვარსა გწერს.

* * *

წითელ ხუცესსა წითელი ხარი შეება,
გაიარა ქრისტე ღმერთმა, ჰკითხა:
–ხუცესო, რასა ხნამ და რასა თესამ?
კლდესა და ქვასა ვოესამ.
დამწვარო, ასე შენ იხარე,
როგორც კლდეში ქვიშამ იხარის.

პაპასკირისა

სახელი სარელითა, ღვთითა,
შამითა, ძითა, სულითა წმიდითა.
ზემოთიდგან მოვიდოდა სამი მამა-შვილი.
ქვემოთიდგან მოვიდოდა გიორგი პაპასკირი.
წინ შეშოეყარა მიქელ-გაბრიელ თავარანგელოზი.
— სად მიხვალ, გიორგი პაპასკირო?
მე მივალ ადამიანის ტანში
შესაწუხლებლად, შესაზარებლად.
ბატონმა სადილი ითხოვა,
ათი ქათამი, კაცი სათავი.
კურდღელს ყური მოუყურა,
მოუპარტყუნებიაო.
ორდანი დედოფალი,
ცაში ანგელოზები,
წალდი, ცული, ჭერბოშანი,
შენ, უფალო, რა შეგცოდე,
რად დამმართე პაპასკირი.

საწერელისა

საწერელი მოდიოდა ჟამსა შვიდამისასა,
წინ შემეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი.
კითხა, სით მიხვალ, სით გამგზავრებულხარ?
– სით მივალ, სით გავმგზავრებულვარ?
მივალ ადამიანის ტანში სისხლის სასმელად,
ძვლის სატეხად, ტვინის სანთხევად,
რბილის საჭმელად.
აშა ვარაი, რა კოქვა თავას ჭირი.
– რა არის მისი წამალი?
ტილიფის ცილი, კვერცხის ცილი.

(მლოცავი ტილიფის ცილს ფხეკს და კვერცხის ცილ ურევს და, ალებს მტკივანხე.)

სირსვილისა

Გუთანი ება ეშმაკსა,
მგელი ება ხარათა,
გველი აპეურათა.
გასკდა მგელი,
გაწყდა გველი,
სირსვილავ, ამოვარდი ძირიანათა.
დილას უთხარ,
საღამო კარქა ყოფნისა.
საღამოს უთხარ,
დილა კარქა ყოფნისა.

* * *

(სამჯერ ესე უნდა თქვას:)

Სახელი ღვთისა,
მამისა, ძისა,

სულისა წმიდისა.
სირსვილს ება გუთანი
უდაბურსა ჭალასა,
მგელი ება ხარათა,
გველი აპეურათა.
მგელი გახქდა,
გველი გაწყდა,
სირსვილავ,
აშოვარდა შენა ძირი.
ღმერთო, შენ დასწერე
შენი წყალობის ჯვარი.

სუქბის ნაღრძობისა და ნეკნისა

ლახელითა მამისათა და ძისათა,
სულისა წმინდისათა, ამინ.
ადამ დაეცა, სუკი იკრთო,
კრავმა დაიბღავლა, ლახვარმა ღვთისამა,
სამოცდასამის დღისამა.
შვიდი ფიქალნი ცისანი,
შვიდი ლერწამნი ხღვისანი,
სისხლი, სიხლის ალაგასა,
ძარღვი, ძარღვის ალაგასა!
ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი.
მწვანე მინდორსა მწვანე ხე იდგა.
მწვანე ფრიდელი ბუდეს იდგამდა.
უხელოთ შეეხელ, უფეხოთ ჩამოველ,
უცხენოთ შევწვი, უპიროთ შეეჭამე.
გორველა იგორებდა, ნაღრძობი მთელდებოდა.
ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარი.

საყმაწვილოსაგან ხორცის წითლად დასივებისა

უფალმა თეთრი ფურბერწი ლაკლა.
— რაო არ მეწვიე, კარგის თავო?
— მათ არ გეწვიე, ლეკაარები ზღვით ზღვამდე.
წამალს ვერეფდი სიმსივნისა, სიმტკივნისასა,
კარგის თავისა და საყმაწვილოსასა.
მე და საყტრის ხუცესი წავედით მთასა,
ვეძებდით ნადირის კვალსა.
კვალი ვერა ვსახეთ ნადირის,
კვალი ვნახე ზნისა და ქარებისა.
ზნეო და ქარებო, რას გადაცვლილხართ,
რას გადაჭრილართ, თქვენი ალაგი იქ არი,
ზღვის პირსა და ჩალის პირსა.
ქრისტეს ანოებულს სანთელს მოგართმევ.
გადავაქარვებ, გადავანიავებ,
მაგ თქვენ ჭირსა, სატკივარსა.

ყელმოსრეტბულისა

(ყივანახველახი)

Ცახელისა ღვთისა,
მაძისა, ძისა,
სულისა წმინდისა.
ლოცვა ყელმოსრეტბულისა.
პეტრე, პავლე ჭამად იჯდა
წყალსა იორდანისასა.
პეტრემ უთხრა:
— რასა არა ჭამ პურსა?
— გულთა ყია დამემართა.
— კისერსა და ყელსა
გადაგისვამ ნეკსა,
გადავაგდებ კლდესა,
სამარასა.
ქრისტე წირვად დგანასა.
ქრისტეს წირვა შეგეწია

სხვადასხვა შელოცვები

გველისა

ᲒᲕᲔᲚᲝ, ესტატო, მესტატო,
ᲛᲘᲡᲢᲘ, ოსტი საქორგულო,
გაჩერდი და ხმას არ გაგცემ.

* * * -

(ხელში უნდა გეჭიროს თხილის ჯოხი.)

ᲯᲘᲘ, ᲯᲘᲘ, ᲯᲘᲯᲛᲐᲜᲐᲥᲘ,
ᲘᲡᲞᲐᲜᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲜᲐᲮᲘ,
ᲛᲝᲗᲘᲠᲘᲚᲝ ᲯᲝᲮᲝ,
ᲛᲝᲨᲔᲨᲓᲘ.
ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲝ,
ᲛᲝᲣᲚᲐᲦᲚᲐᲦᲓᲘ.

* * *

შავი, შავი, შამანია,
შავი გველი ეშაპია,
მისი დედა ანჩახია.
ცოცხალია მოდიოდა,
ყავრაჯნიანი კაცი
უკან მისდევდა.
გველის ფხასა
ხელი სტაცა,
გაღააცვა თავარასა.
სამი კუტალი წყალია,
ოქროს ტაბაკზე სწერია,
რომ დალიოს, მოუხთეს,
დასუნული მოხდომია.

* * *

წიი, წიი, მამალო,
ისპანახო, ვანო,
კოლოვ, შე წითელო,
კაბა მაცვია ყვითელი,
ხელთ მიჭირავს
ურზნის ჯოხი,
გველის საწკეპელი!

* * *

ჰიტი, ჰიტი, ჰისტანაძა,
ასტანაგა და აჩანაგა,
გველო მოგვირაკრაკლი,
მოხრილო ჯოხო, გაშეშლი.
ფიქრსა ფიქრი მაკვია,
ფიქრთა ბეჭედი მაკვია,
ფირქისა ღვთისმშობელო,
შენ გააშეშე გველია.

ამღვრეული წყაროს დაწმენდისა

ეკერღვაე – წადი,
წყინდავ – მოდი,
მარიამის თვალო!

(მანამდე უნდა ულოცო, სანამ წყარო არ დაიწმინდება.)

ახალმთვარისა

(ახალ მთვარეს რომ დაინახავ, უნდა დაეწრეწუნო და თქვა:)

შენ – დიანი,
მე – ძმიანი!
შენ – ქაჩალი,
მე – თმიანი!
შენ – თხიანი,
მე – ცხვრიანი!

* * *

მთვარე ვსახე ნებაზედა,
ჩემსა გუნებაზედა.
პურის ცომი ღვიერი,
საქმე ბარაქიანი.
მე ეცხოვნდე და
შენ იზარდე.

მგლისა

Ხარელითა მაძისათა.
ესენია, ბეკენია,
ბეკთა ხაჯი ასვენია.
ღმერთო, შეკარ, შებეჭლე
პირი მგლისა, ხელი მეკობრისა;
ენა მეე ნაბლისა,
კბილის მეე ხანთლისა.

ეკენია, ბეკენია

ეკენია, ბეკენია,
ეკენ ხატი ასვენია.
ჩამოყარე კლიტოსანი,
ჩააგდე ზღვაში,
ნუ ამაიღებ მიზანში.
შაჰკარ მგლის ჰირი,
მეკობრის ხელია.
ღმერთო, შენ დაიფარე
(რასაც დაკარგამ). ამინ.

წყაროები:

1. „ძველი საქართველო“, ტომი I, 1909 წ.

2. ხალხური სიტყვიერება ე.თავაიშვილის რედაქციით. წიგნი I. ტბილისი,

1915 წ.

3. სერგი მაკალათიას წიგნები: „თუშეთი“, „ფშავი“, „ხევსურეთი“ „რაჭა“.

4. სერგი ჟღენტი — „გურული კილო“, ტფილისი, 1936 წ.

5. გ.თევდორაძე — ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წიგნი II, თბილისი, 1939წ.

6. ნუნუ მინდაძე — ქართული ხალხური მედიცინა, თბილისი, 1981 წ.

7. რ. თავდადებული — ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი

ყოფაცხოვრებიდან. თბილისი, 1940 წ.

8. აჭარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი II, ბათუმი, 1940 წ.

9. ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთი, გუდამაყარი) — ელენე ვირსალაძის რედაქციით.

10. ი.გიგულაშვილი — ქართული ბავშვური პოეზია, თბ. 1986 წ.

11. პ.უმიკაშვილი — ხალხური სიტყვიერება, ტ.IV, თბ. 1964 წ.

12. ქ. ძოწენიძე — ზეპირსიტყვიერული კილოკავი, თბ.1973 წ.

13. შ. ძიძიგური — ქართული ლიალექტოლოგიის მასალები, თბ. 1974 წ.

14. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის: H ფონდის № 2638, H ფონდის № 2639, S ფონდის №

2311, S ფონდის № 436, H ფონდის № 564, H ფონდის № 1940.

15. „ლიტერატურული ძიებანი“ — ტ. IV, თბ. 1948 წ. (ელენე ვირსალაძის რედაქციით).

სარჩევი

რედაქტორისაგან (ამირან არაბული) 3
უძრავი იძრება.ძრული დადგება (მიხო მოსულიშვილი) 8

ძ ვ ე ლ ი შ ე ლ ო ც ვ ე ბ ი

გველისა 11
სიმსივნისა .12
უყმურისა 13
თვალ-ყბისა, ყამისა და უყმურისა 14
მუცლის ტეხისა 15
მუცლის ტეხისა 16
თვალ-ყბისა 17
ქაჯისა 19
თვალ-ბისა, ყამისა, უყმურისა 21
თვალ-ცემულისა 22

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო შ ე ლ ო ც ვ ე ბ ი

სურდოსი 25
სინცეცხლასი 28
ელქუნისა 30
სატკბურისა 32
მუნისა (მღიერისა) 35
მუნის წამალი 40
ცეცხლის ჯვრის ძიერ დასნეულებულისა 41
ტაბასტისა (სისხლის დენისა) 42

ცხვირის ტაბასტის წამალი 44
შაკიკისა 45
საბეწველასი 50
თიაქრისა 51
ხოკისა . . . . . .
ფიჩხისა 55
ძროხა რომ დაეცემა და კვდება 56
მუცლის ტკივილისა (მუცელკეთილისა) 57
ტყირპისა 60
გულზე დამდგარისა 65
ნაღრძობისა 66
ფეხის ტკივილისა 68
ბნედიანის წამალი 69
მეფეჭისა 70
ცოფისა 71
წელის ტკივილისა 74
მეჭვალისა 75
ბედნიერისა . . . 78
წითელი ქარისა 88
პირქეთისა 92
კისრის ტკივილისა 100
კუსი, ანუ წყლისასი (ქალს რომ ეძუ ასტკივდება) . . . 101
გათვალულისა 106
უყმურისა 139
შეშინებულისა 145
გულისა . 157

ოიეის ტკიეილისა 158
ფრინველისი 159
ოფალის ტკიეილისა 163
ხლოკინისა 172
ციებ-ცხელებისა 173
ხაყმაწვილოსი 175
ალისა . . 176
ორსულისა 177
ფენიძიმე ქალისა 178
ძაკი ხელიერისა 179
მუცლის წახდენისა 180
შეწყენილისა 184
ჯადო ვისაც აწუხებს 185
დევისა და ქაჯისა 186
ხიეითლისა 187
ბოლწვარისა 188
ლამწვრისა 189
ბაბასკირისა 193
ხაწკრელისა 194
ირსვილისა 195
ხუკის ნალრძობისა და ნეკნისა 197
ხაყმაწვილოსაგან ხორცის წითლად 198 დასიებებისა . . . . .
ფელმოსრეტულისა 199

ს ბ ვ ა დ ა ს ხ ვ ა შ ე ლ ო ც ვ ე ბ ი

ბეელისა 201
ამღვრეული წყაროს დაწმენდისა 204

ახალმთავარისა . . . . . [illegible]
მგლისა .
ეკენია-ბეკენია [illegible]

გამომცემლობის რედაქტორი სერგო ჯანაშია
ტექნიკური რედაქტორი კობა ლიკლიკაძე
კორექტორი შაკო ვარაზანაშვილი, ელენე თურქაძე,
მარინა ტლაშაძე

ჩაბარდა წარმოებას 21.04.92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.06.92
ტირაჟი 10 000

გამომცემლობა „ილია"

ფასი სახელშეკრულებო

წიგნი აიწყო კომპიუტერული წესით საგამომცემლო-კომერციულ ფირმა ფოლიანტინი, ილია ჭავჭავაძის პრ. №35.
ტელ: 93-18-41, 29-48-61